


იძულებით გადაადგილებული ქალების
აღქმებისა და დამოკიდებულებების კვლევა

კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, შერიგებასა და მშვიდობის მშენებლობაზე



იძულებით გადაადგილებული ქალების
აღქმებისა და დამოკიდებულებების კვლევა
**კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე,
შერიგებასა და მშვიდობის
მშენებლობაზე**

კვლევის ავტორები:

ნინო ქოქოსაძე
ქრისტინე ლორთქიფანიძე

კვლევის მრჩეველი

ნათია ჭანკვეტაძე

მკვლევართა გუნდი:

მარინა მჭედლიშვილი
ხათუნა მაღლაკელიძე
თინათინ ბუაძე
დარია გოგნაძე
მკვლევრები ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთიდან და აფხაზეთიდან

დიზაინი:

თეონა წამალაშვილი

განსაკუთრებული მადლობა

- ◆ იძულებით გადაადგილებულ პირთა, მშვიდობისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩართულობისა და კვლევის განსახორციელებლად გაწეული ძალისხმევებისთვის
- ◆ კვლევის მონაწილე ყველა რესპონდენტს დათმობილი დროისა და კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისთვის

გამოცემა მომზადდა პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერაა მხარდაჭერილი. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ან დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

სარჩევი

1 კვლევის შეჯამება	11
1.1 კვლევის მიზანი	11
1.2 მეთოდოლოგია	11
1.3 კვლევის ძირითადი მიგნებები	12
2 შესავალი	17
3 ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში	18
3.1 კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალების ჩართულობის საერთაშორისო სტანდარტი	18
3.2 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა	19
3.3 ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტაქტი და ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში	20
4 იძულებით გადაადგილებული ქალების გამონკვევები და მხარდაჭერა	22
4.1 იძულებით გადაადგილებული ქალების გამონკვევები	22
4.2 იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერის პოლიტიკა და პროგრამები	23
5 იძულებით გადაადგილებული ქალების კონტაქტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან და საკომუნიკაციო არხები	27
6 იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ	34
7 შერიგებისა და დაბრუნების მიმართ არსებული განწყობები	39
8 მოსაზრებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ	44
8.1 ინფორმაციის დონე კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესისა და პროექტების შესახებ	44
8.2 ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობაში ჩართული ჯგუფები	47
8.3 იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში	50

9 კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობი აქტივობები და მათში მონაწილეობისადმი განწყობა	56
10 უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე	62
11 გალსა და ახალგორში ჩატარებული თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები	64
11.1. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების გამონკვევები	64
11.2. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან კონტაქტი	65
11.3. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების დამოკიდებულებები უკრაინაში მიმდინარე ომსა და მის გავლენაზე ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე	66
11.4. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების მოსაზრებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ	67
11.5. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების დამოკიდებულებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების ჩართულობასთან დაკავშირებით	69
12 კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები	77
დანართი 1	81
კვლევის მეთოდოლოგია	81
ლიტერატურის მიმოხილვა	81
თვისებრივი კვლევა	81
კვლევის ეთიკა	87
კვლევის შეზღუდვა	87
დანართი 2	89
გამოყენებული ლიტერატურა	94
სქოლიო	95

დიაგრამები

დიაგრამა 1.1	გთხოვთ მითხრათ, გსმენიათ თუ არა ამ გადაწყვეტილების შესახებ?.....	24
დიაგრამა 1.2	რამდენად ეთანხმებით გადაწყვეტილებას, რომ 2023 წლის 1-ელი იანვრიდან დაბადებული ბავშვები, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი აქვთ, არ იქნებიან გათვალისწინებული განსახლების პროგრამაში?.....	24
დიაგრამა 1.3	გთხოვთ, დახედოთ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს და მითხრათ, რომელ დებულებას ემხრობით.....	25
დიაგრამა 2.1	პირადად თქვენ ან თქვენს ოჯახს გყავთ თუ არა ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი ან ნაცნობი, რომელიც ამჟამად აფხაზეთში და/ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს?.....	27
დიაგრამა 2.2	გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 1 წლის განმავლობაში, რამდენად ხშირად ეკონტაქტებით თქვენი ოჯახის წევრებს / ახლობლებს / ნათესავებს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს.....	29
დიაგრამა 2.3	ბოლო ერთი წლის მანძილზე კომუნიკაციის რა საშუალებები გამოგიყენებიათ მათთან ურთიერთობისთვის.....	29
დიაგრამა 2.4	რა არის ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც კომუნიკაცია გაქვთ გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ ოჯახის წევრთან / ახლობელთან / ნათესავთან?.....	31
დიაგრამა 2.5	გთხოვთ, მითხრათ, ზოგადად, საიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეებზე.....	32
დიაგრამა 3.1	როგორია პირადად თქვენი განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზების, ოსების, ქართველი ან სხვა მოსახლეობის მიმართ - სრულიად დადებითი, უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი, უფრო უარყოფითი ვიდრე დადებითი თუ ძალიან უარყოფითი?.....	34
დიაგრამა 3.2	თქვენი აზრით, როგორია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მიმართ - სრულიად დადებითი, უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი, უფრო უარყოფითი ვიდრე დადებითი თუ ძალიან უარყოფითი?.....	35
დიაგრამა 4.1	როგორია პირადად თქვენი განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ აფხაზ და ოს მოსახლეობასთან შერიგებასა და ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით?.....	39
დიაგრამა 4.2	გთხოვთ, დახედოთ ბარათს და მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით დებულებას:.....	41
დიაგრამა 4.3	გთხოვთ დახედოთ ბარათს და მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით დებულებას: შესაძლებლობის შემთხვევაში არ გადავიდოდი აფხაზეთში და/ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რადგან იქ არ არის განვითარების შესაძლებლობა / განვითარების დონე დაბალია.....	41
დიაგრამა 4.4	გთხოვთ, დახედოთ ბარათზე მოცემულ დებულებებს და მითხრათ, მომავალი 10 წლის მანძილზე თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია:.....	42
დიაგრამა 4.5	გთხოვთ, დახედოთ ბარათზე მოცემულ დებულებებს და მითხრათ, პირადად თქვენთვის რამდენად სასურველი ან არასასურველია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი სიტუაცია.....	42

დიაგრამა 5.1	გსმენიათ თუ არა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის იდეების შესახებ?.....	45
დიაგრამა 5.2	გსმენიათ თუ არა ადამიანების, ორგანიზაციების ან სახელმწიფო პროექტების შესახებ, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაზე მუშაობენ?.....	45
დიაგრამა 5.3	გთხოვთ, დახედეთ ბარათზე მოცემულ ჩამონათვალს და მითხარით, ვისი ჩართულობის და რომელი პროექტების შესახებ გსმენიათ?.....	47
დიაგრამა 5.4	თქვენი აზრით, ვისი ჩართულობაა დღეს მნიშვნელოვანი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ტრანსფორმაციისთვის?.....	49
დიაგრამა 5.5	თქვენი აზრით, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და დადებითი ცვლილებებისთვის ვისთან, რომელ ჯგუფებთან დიალოგის დაწყება, გააქტიურება და გაღრმავებაა მნიშვნელოვანი?.....	49
დიაგრამა 5.6	გთხოვთ, დახედოთ ბარათზე მოცემულ დებულებებს და შეაფასოთ, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია პირდაპირი დიალოგი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფ მთავრობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებს შორის, აფხაზ, ოს და ქართველ სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებსა და საზოგადოების ფართო მასებს შორის?.....	50
დიაგრამა 5.7	თქვენი აზრით, არიან თუ არა დღეს იძულებით გადაადგილებული ქალები ჩართულები კონფლიქტის ტრანსფორმაციის (პოზიტიური ცვლილების) პროცესში?.....	51
დიაგრამა 5.8	პირადად თქვენ ყოფილხართ თუ არა ჩართული პროექტებში, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებსა და მშვიდობის მშენებლობას შეეხებოდა?.....	51
დიაგრამა 5.9	პირადად თქვენ ყოფილხართ თუ არა ჩართული ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგებში / შეხვედრებში?.....	52
დიაგრამა 5.10	მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმისთვის მოსამზადებელ სამუშაო ან საინფორმაციო შეხვედრაში?.....	52
დიაგრამა 5.11	რამდენად სავარაუდოა, რომ მომავალში მიიღოთ მონაწილეობა ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგში/შეხვედრებში ასეთი შეხვედრების დაგეგმვის შემთხვევაში - აუცილებლად მიიღებთ, შესაძლოა მიიღოთ, ნაკლებად სავარაუდოა, თუ არ მიიღებთ?.....	53
დიაგრამა 5.12	თქვენი აზრით, რა ბარიერებს აწყდებიან იძულებით გადაადგილებული ქალები კონფლიქტის ტრანსფორმაციის (პოზიტიური ცვლილების) პროცესში ჩასართავად?.....	54
დიაგრამა 5.13	გთხოვთ, დახედეთ ბარათს და მითხარით, რა ხელშეწყობა ან რესურსი სჭირდებათ იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ჩასართავად.....	55
დიაგრამა 6.1	გთხოვთ, წაიკითხოთ ბარათზე მოცემული დებულებები და შემოხაზოთ ის მოსაზრება, რომელსაც უფრო მეტად ეთანხმებით.....	56
დიაგრამა 6.2	გთხოვთ, დახედეთ ბარათს და მიპასუხეთ, ზოგადად, რომელი საქმიანობები შეუწყობს ხელს ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას.....	58
დიაგრამა 6.3	ბარათზე მოცემულია სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის (პოზიტიური ცვლილებისთვის). გთხოვთ, მითხრათ, რომელ აქტივობაში ჩაერთვებოდით პირადად თქვენ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის.....	60

დიაგრამა 7.1	თქვენი აზრით, უკრაინაში მიმდინარე ომი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისთვის წარმოადგენს ახალ შესაძლებლობას, წარმოადგენს საფრთხეს, თუ ამ ომს არ აქვს გავლენა?.....	62
დიაგრამა 7.2	იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა მოიგებს, რუსეთი დასუსტდება და საქართველოსთვის გაჩნდება კონფლიქტის ტრანსფორმაციის (პოზიტიური ცვლილების) შესაძლებლობები.....	63
დიაგრამა 7.3	უკრაინაში არსებული ომი საფრთხეს უქმნის საქართველოსაც / შეიძლება აქაც დაიწყოს ომი.....	63

◆1◆ კვლევის შეჯამება

1.1 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია იძულებით გადაადგილებული (დევნილი) ქალების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესების შესახებ ადქმისა და დამოკიდებულებების შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი კვლევა საქართველოში პირველად ჩატარდა და წარმოადგენს ახალი გეოპოლიტიკური დღის წესრიგის და რეგიონში მიმდინარე უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილების პირობებში მნიშვნელოვან რესურსს მიგნებებითა და რეკომენდაციებით, რამაც ქალებისა და, კერძოდ, თავად იძულებით გადაადგილებული ქალების მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და კონფლიქტებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ჩართვას უნდა შეუწყოს ხელი.

კვლევის კონკრეტული ამოცანებია იმის შესწავლა, თუ:

- ▶ როგორია იძულებით გადაადგილებული ქალების ცხოვრება და გამონწევები;
- ▶ რა როლი აქვთ იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში;
- ▶ როგორია იძულებით გადაადგილებული ქალების ცოდნა და დამოკიდებულებები კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის, ჩართული ჯგუფებისა და არსებული აქტივობების მიმართ;
- ▶ რა ბარიერები არსებობს, რომლებიც ხელს უშლის იძულებით გადაადგილებულ ქალებს, ჩაერთონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში და რა კონკრეტული ხელშეწყობა სჭირდებათ ამ პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობისთვის;

- ▶ როგორია იძულებით გადაადგილებული ქალების ხედვა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

1.2 მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, თვისებრივი კვლევისა და რაოდენობრივი კვლევის ეტაპებს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 9 ფოკუს-ჯგუფი და 24 სიღრმისეული ინტერვიუ. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა თბილისში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ფოთში მცხოვრებ 18 და მეტი წლის იძულებით გადაადგილებულ ქალებთან. ცალკე ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა 18-29 წლის ახალგაზრდა იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრებ ქალებთან. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა გორსა და ახალგორში მცხოვრებ 18 და მეტი წლის ქალებთან.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 600 პირისპირ ინტერვიუ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან. მონაცემი გაანალიზებულია ასაკის (18-29 წლის და 30 და მეტი წლის), დასახლების ტიპის (საქალაქო დასახლებისა და სასოფლო დასახლების) და იძულებით გადაადგილების პერიოდის მიხედვით (იძულებით გადაადგილებული პირების I ტალღა - 1991-1993 წლებში მომხდარი კონფლიქტების შედეგად და II ტალღა - 2008 წლის ომის შედეგად). რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების შერჩევისთვის გამოყენებულია მოსახერხებელი შერჩევა. კვლევის მონაცემის განზოგადება შესაძლებელია

მხოლოდ გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან მიმართებით. (იხ. კვლევის დეტალური მეთოდოლოგია და კვლევაში მონაწილე დევნილი ქალების დემოგრაფიული მონაცემები 1-ელ და მე-2 დანართებში).

1.3 კვლევის ძირითადი მიგნებები

გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების დემოგრაფიული მონაცემები

- ▶ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების 39% ცხოვრობს თბილისში, 61% - წყალტუბოს, გორის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ვასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში;
- ▶ უმრავლესობა ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში (84%);
- ▶ მათი სრული უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია (98%);
- ▶ კვლევაში მონაწილე ქალებს ძირითადად საშუალო (41%) ან პროფესიული (22%) განათლება აქვთ;
- ▶ მათი 27% დასაქმებული, თვითდასაქმებული ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფია, 39% უმუშევარია,* 29% კი პენსიონერი;
- ▶ გამოკითხული ქალების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შემოსავალი საკვების შესაძენად კი არ ჰყოფნის, (41%), ან შემოსავალი ჰყოფნის საკვებისთვის, თუმცა არ არის საკმარისი ტანსაცმლის საყიდლად (29%);
- ▶ გამოკითხულთა 74% იძულებით გადაადგილებულია აფხაზეთიდან, 26% კი ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან.**

იძულებით გადაადგილებული ქალების გამოწვევები და მხარდაჭერა

- ▶ თვისებრივი კვლევის თანახმად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გავლენა იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაზე, მათ შორის, ქალებზე, ძირითადად ეკონომიკურ სირთულეებს, ცუდ საცხოვრებელ პირობებს და განვითარების/თვითრეალიზაციის ნაკლებობას უკავშირდება. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა მთავარ პრობლემებს შორის გამოყვეს: საცხოვრებელი სახლის პრობლემა, უმუშევრობა, განვითარების შესაძლებლობის სიმწირე, ჯანდაცვის სერვისების ხელმიწვდომლობა, ოჯახში ძალადობა.
- ▶ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების 77%, 2022 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებას არ ეთანხმება.¹
- ▶ კვლევის მონაწილეთა 89%-ს კი მიაჩნია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა 45 ლარისანი შემწეობა უნდა იყოს მიზნული დევნილის სტატუსზე და ეძლეოდეს ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს.

იძულებით გადაადგილებული ქალების კომუნიკაციის დონე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან და საკომუნიკაციო არხები

* წინამდებარე კვლევის ფარგლებში ტერმინი „უმუშევარი“ გულისხმობს რესპონდენტის სუბიექტურ აღქმას მის დასაქმების სტატუსთან დაკავშირებით.

** წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის აფხაზეთი, საქართველო და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი, საქართველო მოიხსენიება როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი, რადგან წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული ტოპონიმები შესაბამისა მათ სტანდარტულ საერთაშორისო გამოყენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში იძულებით გადაადგილებული პირების და ლტოლვილების სტატუსის შესახებ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით. იხილეთ გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში, აფხაზეთის, საქართველოს და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (21 მაისი, 2019 წ. A/73/880. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის შემდეგ მისამართზე: <https://undocs.org/en/A/73/880>

- ▶ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების ნახევარს (48%) კონტაქტი აქვს გამოყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობასთან. უმრავლესობა (61%) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მყოფ ახლობლებთან თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად დაკავშირებას ახერხებს.
- ▶ გამოყოფი ხაზის მიღმა მყოფ ახლობლებთან ურთიერთობისთვის გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალები, ძირითადად, ინტერნეტს/სოციალურ ქსელს იყენებენ (65%).
- ▶ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეებზე ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს ქართული საინფორმაციო არხები (75%) და სოციალური ქსელი (47%) წარმოადგენს. თუმცა, თვისებრივი კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაცია მწირია და ფართოდ არ ვრცელდება.

იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ

- ▶ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პოზიტიურად ან ძალიან პოზიტიურად არიან განწყობილნი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზი (78%), ოსი (75%), ქართველი (91%) და სხვა ეროვნების (74%) მოსახლეობის მიმართ.
- ▶ მათი აღქმა განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და იძულებით გადაადგილებული მოსახლე-

ობის მიმართ აფხაზებისა და ოსების განწყობა. კერძოდ, კვლევის მონაწილეთა 43% ფიქრობს, რომ აფხაზების განწყობა პოზიტიურია, ხოლო ყოველი მესამე რესპონდენტი (36%) მიიჩნევს, რომ ოსების განწყობა დადებითია ქართველებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ.

შერიგებისა და დაბრუნების მიმართ არსებული განწყობები

- ▶ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა აფხაზ და ოს მოსახლეობასთან შერიგების მომხრეა. 88% აფხაზ, ხოლო 85% ოს მოსახლეობასთან შერიგებას ემხრობა.
- ▶ მომავალი 10 წლის მანძილზე იძულებით გადაადგილებულ ქალებს ყველაზე მეტად აქვთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის იმედი (41%). ამ რეგიონებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის ძალიან სასურველი ან უფრო მეტად სასურველი მოცემულობაა (78%).
- ▶ იძულებით გადაადგილებული ქალების თითქმის მესამედი ეთანხმება აზრს, რომ ის უკვე იმ კონკრეტული ქალაქის ადგილობრივი მცხოვრებია, სადაც დასახლდა, ჰყავს ოჯახი და მეგობრები, აქვს სამსახური და მუდმივად საცხოვრებლად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საცხოვრებლად არ გადავიდოდა (29%). საცხოვრებლად დაბრუნების მეორე ხელისშემშლელ ფაქტორად კვლევის მონაწილეთა 34%-მა დაასახელა ის, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არ არის განვითარების შესაძლებლობა/ განვითარების დონე დაბალია.

უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე

- ▶ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები უფრო მეტად იმ აზრს ემხრობიან, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი ახალ შესაძლებლობას ქმნის ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრისთვის (43%), ვიდრე მოსაზრებას, რომ ეს ომი საფრთხეს წარმოადგენს ქართული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის (16%).
- ▶ კვლევის მონაწილეთა 74% ასევე ეთანხმება აზრს, რომ თუ უკრაინა ომს მოიგებს, რუსეთი დასუსტდება და საქართველოსთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა გაჩნდება.

იძულებით გადაადგილებული ქალების მოსაზრებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ

- ▶ კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის იდეების შესახებ სმენია კვლევაში მონაწილე ქალების 24%-ს, ხოლო ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანების, ორგანიზაციების ან სახელმწიფო პროექტების შესახებ - 29%-ს.
- ▶ კვლევაში მონაწილე ქალების ნახევარი აღნიშნავს, რომ სმენია ოფიციალური მოლაპარაკებების (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები) (53%) და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის (49%) შესახებ. ასევე, სხვა პროექტებთან შედარებით მაღალია საქართველოს სახელმწიფოს ჯანდაცვის პროექტის (რეფერალური პროგრამა/უფასო ჯანდაცვა) და საქართველოს სახელმწიფოს


სამშვიდობო ინიციატივის (ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ - ვაჭრობა და განათლება) ცნობადობა (43% და 30%, შესაბამისად).

- ▶ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების მშვიდობიანი გზით გადაჭრისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის (70%), საერთაშორისო ორგანიზაციების (56%) და თავად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (50%) ჩართულობა.
- ▶ ამასთან, კვლევის მონაწილეთა 72 პროცენტის თქმით, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და დადებითი ცვლილებებისთვის მნიშვნელოვანია როგორც აფხაზებთან, ასევე ოსებთან დიალოგის დაწყება, გააქტიურება და გაღრმავება. გარდა ამისა, იძულებით გადაადგილებული ქალების 41% ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია რუსეთთან დიალოგის დაწყება/გააქტიურებაც.

იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში

- ▶ კვლევის მონაწილეთა 28% ფიქრობს, რომ იძულებით გადაადგილებული ქალები ჩართულები არიან კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. თუმცა რეალურად, მათი უმრავლესობა - 95% თავად ამ პროცესებში ჩართული არასოდეს ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ყოველი მესამე გამოკითხული აცხადებს მზაობას, ჩაერთოს ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგსა თუ შეხვედრებში, ასეთი ფორმატების დაგეგმვის შემთხვევაში (39%).


კვლევის თანახმად, იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესებში ჩართვის ბარიერებია:



▶ გარდა ამისა, ყოველი ოთხი გამოკითხული ქალიდან, ერთი აღნიშნავდა, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ აზრს იშვიათად ეკითხე-

ბიან (28%) და იძულებით გადაადგილებული ქალების იდეებს/აზრს სერიოზულად არ აღიქვამენ (25%).

რაც შეეხება ხელშეწყობას, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართვისთვის



კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობი აქტივობები და მათში მონაწილეობისადმი განწყობა

▶ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, კონფლიქტების ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ-ოსური გა-

ნმომილების მშვიდობიან ტრანსფორმაციას ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების, დამეგობრება (55%) და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიმოსვლის გამართვა შეუწყობს ხელს (53%).

-
- ▶ ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის მნიშვნელოვან აქტივობებს შორის ასევე დასახელდა ეთნიკურად აფხაზი, ოსი და ქართველი მოსახლეობისთვის ერთმანეთის ყოველდღიურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (41%) და ერთმანეთის ტრადიციისა და კულტურის გაცნობა (21%), სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა (37%) და სოციალური პროექტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მხარდასაჭერად (30%).
 - ▶ თავად კვლევის მონაწილე ქალები ყველაზე მეტად პირისპირ შეხვედრებში ჩართვის მზაობას ავლენდნენ. 43% აღნიშნავს, რომ მზადაა, ჩაერთოს პირისპირ შეხვედრებში, სადაც აფხაზი, ოსი და იძულებით გადაადგილებული ქალები არაფორმალურ გარემოში შეხვედებიან და ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ, 22% აღნიშნავს, რომ ჩაერთვება სხვადასხვა პროექტში, რომლებიც საერთო იდეის გარშემო გააერთიანებს ქართველ იძულებით გადაადგილებულ, აფხაზ და ოს ქალებს.

◆ 2 ◆ შესავალი

იძულებით გადაადგილებულ ქალებს უნიკალური და განსხვავებული გამოცდილება და გამოწვევები აქვთ,² რის გამოც, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებული ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მათი შეხედულებები და დამოკიდებულებები.

1991-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ 228 951 იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, 100 628 ქალია.³ თუმცა, მათი თანაბარი, სრული და ეფექტიანი მონაწილეობა მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების პროცესებში, კვლავ გამოწვევად რჩება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.⁴

წინამდებარე კვლევის მიზანია კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებთან დაკავშირებით იძულებით გადაადგილებული ქალების ხედვისა

და დამოკიდებულებების კვლევა, ასევე, ამ პროცესში მათი მონაწილეობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორების გამოვლენა და, შესაბამისად, მათი ჩართულობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

საკვლევი საკითხის მრავალმხრივი შესწავლისთვის კვლევა მოიცავს პირისპირ ინტერვიუებს, სიღრმისეულ ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფებს და ლიტერატურის მიმოხილვას. კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია განსხვავებული ასაკის, საცხოვრებელი არეალისა და, როგორც 1991-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, ასევე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების ხედვა.

ეს კვლევა იძულებით გადაადგილებული ქალების საჭიროებების გაანალიზების საშუალებას იძლევა და ხელს შეუწყობს მომავალში მათ ეფექტიან ჩართულობას კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ პროცესებში.

◆ 3 ◆ ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში

3.1 კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალების ჩართულობის საერთაშორისო სტანდარტი

1979 წელს მიღებულ გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women - CEDAW) არ ამახვილებდა ყურადღებას ქალთა მონაწილეობის, ან ქალთა უფლებების გათვალისწინებაზე, როგორც კონფლიქტის დროს, ისე პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში.⁵ თუმცა, 1990-იანი წლებიდან ამ მიმართულებით ქალთა სამოქალაქო საზოგადოების აქტივიზმის შედეგად CEDAW-ს კომიტეტმა 1992 წელს გამოსცა რეკომენდაცია N19 ქალებზე ძალადობის შემთხვევების გამოძიების, დამნაშავეთა დასჯის და პრევენციის შესახებ.⁶ 2013 წელს კი, დამატებით გამოიცა რეკომენდაცია N30, რომელიც ეხება ქალთა კონვენციის შესაბამის გამოყენებას კონფლიქტის პრევენციის, საერთაშორისო და ადგილობრივი შეიარაღებული კონფლიქტების, უცხო ქვეყნის ოკუპაციის და სხვა სახის ოკუპაციის სიტუაციებში და პოსტკონფლიქტურ ეტაპზე. ამ რეკომენდაციაში ხაზგასმულია კონფლიქტის სიტუაციებში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევების შემცირების ვალდებულება.

1995 წლის პეკინში გამართული გაეროს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია, კიდევ ერთ გარდამტეხ ეტაპად განიხილება ქალთა სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რომელთაც წამყვანი როლი შეასრულეს ქალთა უფლებების გაუმჯობესების, მშვიდობის მშენებლობასა და

უსაფრთხოების საკითხებში ქალთა როლის აღიარებაში.⁷

მოგვიანებით, გაეროს უშიშროების საბჭომ 2000 წლის 31 ოქტომბერს მიიღო საეტაპო რეზოლუცია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე (რეზოლუცია N1325),⁸ რომლის მიღებაც, მეტწილად ქალთა სამოქალაქო საზოგადოების დამსახურებაა. რეზოლუცია N1325 კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის გენდერულად მგრძობიარე ოთხ ფუძემდებლურ პრინციპს ეყრდნობა: 1. მონაწილეობა; 2. პრევენცია; 3. დაცვა; და 4. მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტის შემდგომი აღდგენითი პროცესები.⁹ ამ რეზოლუციით, გაეროს უშიშროების საბჭო აღიარებს ქალებსა და გოგონებზე შეიარაღებული კონფლიქტის განსხვავებული და არაპროპორციული ზეგავლენის გაცნობიერების საჭიროებას და ამასთანავე, ადასტურებს ქალთა მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების პრევენციისა და რეგულირების, აგრეთვე, მშვიდობის მშენებლობის საკითხებში. იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევაში ქალთა თანაბარი მონაწილეობისა და სრულად ჩართვის მნიშვნელობას. აგრეთვე, აღიარებს მათი როლის გაძლიერების და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების აუცილებლობას კონფლიქტების პრევენციისა და გადაწყვეტის პროცესებში.¹⁰

იმისთვის, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს სრულად იყოს ქალთა უფლებები გათვალისწინებული, გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებული და ქალთა ჩართულობა უზრუნველყოფილი კონფლიქტების პრევენციისა და

გადაწყვეტის პროცესებში, რეზოლუცია N1325 ქვეყნებს მოუწოდებს, გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოგვარების ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებსა თუ მექანიზმებში, გადაწყვეტილების მიმღებ ყველა დონეზე. ასევე, მიიღონ ზომები ქალებისა და გოგოების გენდერული ძალადობისგან დაცვის, მათ შორის გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების პრევენციის მიზნით და იმ პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად, რომლებსაც ბრაღი მიუძღვით ომის დროს ჩადენილ დანაშაულებში.

რეზოლუცია N1325-ის განხორციელების ხელშეწყობისთვის უშიშროების საბჭომ მომდევნო წლებში მიიღო ცხრა დამატებითი რეზოლუცია: 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019), და 2493 (2019),¹¹ რომლებიც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ირგვლივ დამაბუსტებელ რეკომენდაციებს აძლევენ, როგორც გაეროს სტრუქტურებს, ისე წევრ სახელმწიფოებს. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან ერთად მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია ზემოხსენებული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის ზოგადი რეკომენდაცია N30 ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში,¹² რომელიც სახელმწიფოებს მიუთითებს სახელმძღვანელო პრინციპებზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ქალთა

უფლებების დაცვა, არსებითი გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა მრავალფეროვანი გამოცდილების აღიარება და გათვალისწინება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა, როგორც კონფლიქტამდე, ისე კონფლიქტის დროს და მის შემდგომ მშვიდობის დამყარების ყველა პროცესში.¹³

3.2 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის შესახებ ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა საქართველოში ჯერ კიდევ 2002 წლიდან დაიწყო. 2006 წელს შეიქმნა პირველი სამოქმედო გეგმა, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო სექტორმა შეიმუშავა, შესაბამისად, მისი განხილვა და დამტკიცება სამთავრობო დონეზე არ მომხდარა. 2011 წელს საქართველომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 იმპლემენტაციისთვის დაამტკიცა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა 2012-2015 წლებით. მოგვიანებით, მეორე სამოქმედო გეგმა იქნა მიღებული 2015-2016 წლებისათვის, 2018 წლის 10 აპრილს კი, საქართველოს მთავრობის N173 დადგენილებით ძალაში შევიდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმა.¹⁴



2022 წლის 26 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება N510 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.¹⁵

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნებს შორის გათვალისწინებულია ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში და, ასევე, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოგვარების საკითხებზე.¹⁶ თუმცა, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა თანაბარი მონაწილეობა მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების პროცესებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.¹⁷

ქალები ნაკლებად არიან ჩართულები მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.¹⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ პოზიციაზე დასაქმებული ქალების რაოდენობა 2018-2020 წლებში გაიზარდა, თუმცა, მათი რიცხვი კვლავ კრიტიკულად დაბალია და 6%-დან 7%-მდე მერყეობს. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, უწყების სამოქალაქო ოფისში ხელმძღვანელ პოზიციაზე 2021 წლისთვის ქალი მხოლოდ 33% იყო.¹⁹ გარდა ამისა, უკიდურესად მცირეა ქალების მონაწილეობა კონფლიქტების გადაჭრის მცდელობებსა და სამშვიდობო დიალოგებში.²⁰

3.3 ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტექსტი და ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში

1991-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტების და 2008 წლის ომის შედეგად საქართველოში 228 951 იძულებით გადაადგილებული

პირი ცხოვრობს. მათ შორის 100 628 ქალია.²¹ კონფლიქტმა დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ეთნიკურად აფხაზ და ოს, ისე ქართველებს, ადამიანები ერთმანეთს დააშორა და ღირებულებათა განსხვავებულ სისტემებში მოაქცია. შესაბამისად, კონფლიქტის შედეგად დაშორებულ მოსახლეობაში უნდა გაჩნდეს ერთმანეთთან საუბრის ინტერესი და საჭიროება, მოხერხდეს სტატუსთან დაკავშირებული და პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების დროებით გვერდზე გადადება და ადამიანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის პრიორიტეტად ქცევა.²²

კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების სამშვიდობო პროცესში ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათ კარგად ესმით, რას ნიშნავს ომით, შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად მიღებული ზარალი, ცხოვრების დანყება ნანგრევებიდან და თანაცხოვრება დანაკარგით გამოწვეულ ტრავმასთან.²³ იძულებით გადაადგილებული ქალების გამოცდილების გათვალისწინება და მათი ჩართულობა კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაჭიანურებული და გადაუჭრელი კონფლიქტების პირობებში. საქართველოს კონტექსტში კონფლიქტის ტრანსფორმაცია დაკავშირებულია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების განზომილებასა და ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებასთან, ისევე, როგორც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან.²⁴ აღსანიშნავია სოციალური კონტაქტები და თანაცხოვრების გამოცდილება აფხაზებთან და ოსებთან, რომელიც მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ, ისევე როგორც მათი კულტურულ-სოციალური თავისებურებების აღქმა. გარდა ამისა, იძულებით გადაადგილებულ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე ჰყავს ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები გამყოფი ხაზის მეორე მხარეს და ისინი დღემდე ინარჩუნებენ მათთან კავშირს.²⁵

2020 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ჩატარებული კვლევა „სტანდარტები, ბარიერები და ხარვეზების აღმოფხვრა: სამშვიდობო პროცესებში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობისა და წვლილის გაზრდა საქართველოში“, იკვლევდა საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების მონაწილეობას. კვლევის ფოკუსს წარმოადგენდა ის, თუ კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების მონაწილეობისთვის ხელშეწყობა და როგორ შემცირდეს ზღვარი ფორმალურ და არაფორმალურ სამშვიდობო პროცესებს შორის, ქალების პირდაპირი და ეფექტიანი მონაწილეობის გათვალისწინებით.²⁶

იძულებით გადაადგილებული ქალების საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტიურობა მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე დამოკიდებული პროცესია.²⁷ ნარგიზა არჯევანიძის, ნათია ჭანკვეტაძის, ელიკო ბენდელიანის, ნინო კალანდარიშვილისა და თამარ ცხადაძის ავტორობით 2020 წელს გამოცემულ წიგნში „ქალები ომის დროს და ომის შემდეგ“ ხაზგასმულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებული ქალების წინაშე უამრავი გამოწვევა იდგა და დღემდე დგას, ისინი საზოგადოებრივად აქტიურ ჯგუფად მიიჩნევა. დევნილობის პირველ წლებში

თავად იძულებით გადაადგილებულმა პირებმა დააფუძნეს არასამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურები სწორედ ქალები იყვნენ. არასამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების გადანაცვლების მიმდებ პირებთან დაკავშირებაში.²⁸

წიგნში ასევე აღნიშნულია, რომ სამოქალაქო დიალოგისა და „სახალხო დიპლომატიის“ ფორმატებში ქალთა ჩართულობა შედარებით დაბალანსებულია, რადგან ამ შეხვედრებში ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, აქტივისტები და სხვადასხვა პროფესიული ჯგუფები იღებენ მონაწილეობას, რომელთა რიგებში ქალებისა და კაცების წარმომადგენლობა მეტ-ნაკლებად თანაბარია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დიალოგის ფორმატებში ფრაგმენტული და არასისტემურია იძულებით გადაადგილებულ ქალთა (ზოგადად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის) ჩართულობა.²⁹ ამის მიზეზებს შორის დასახელებულია ამგვარი შეხვედრების შესახებ იძულებით გადაადგილებულ პირებში ინფორმაციის ნაკლებობა და იძულებით გადაადგილებული პირების არ/ვერ დანახვა, როგორც სამშვიდობო პროცესისა და სამოქალაქო დიალოგის კრიტიკული ნაწილისა.

◆ 4 ◆ იძულებით გადაადგილებული ქალების გამოწვევები და მხარდაჭერა

4.1 იძულებით გადაადგილებული ქალების გამოწვევები

ამ ქვეთავში განხილულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალების წინაშე მდგარი გამოწვევები და სირთულეები. მიგნებები ეყრდნობა კვლევის თვისებრივ კომპონენტს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ქალების თქმით, როგორც იძულებით გადაადგილებული ქალების, ასევე მთლიანად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიერ გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ▶ **საცხოვრებელი სახლის პრობლემა:** იძულებით გადაადგილებული პირების ნაწილი საცხოვრებელი დაკმაყოფილებული ჯერ არ არის, არის საცხოვრებელი ფართის და მასში არსებულ პირობებთან დაკავშირებული პრობლემებიც (პატარა ფართში ოჯახის ბევრი წევრი ცხოვრობს, საცხოვრებლებში არის ნესტი/ობი, არ აქვთ ცხელი წყალი ან ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა პირობები). კონკრეტულად ახალგაზრდა ქალებისთვის, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მიღებული სახლი, როგორც წესი, მემკვიდრეობით მათ ძმას ან სხვა ვაც ოჯახის წევრებს გადაეცემათ და, შესაბამისად, იძულებით გადაადგილებული ოჯახის სახლით დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, ახალგაზრდა ქალებისთვის საცხოვრებლის პრობლემა არ გვარდება დამკვიდრებული ჩვეულებითი პრაქტიკის გამო.

“ჩვენი ოჯახი მთელი 29 წელი ვცხოვრობდით ქირით. ოჯახმა მიიღო ბინა, თუმცა მე დაჩაგრული ვრჩები, რადგან ვარ ბინით დაკმაყოფილებულთა სიაში, მაგრამ იქ ჩემი ფართი არ არის. რაც ეკუთვნოდა უმცროს დას, უფროს ძმას მისცეს და მე მაინც სახლის გარეშე ვარ.“

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 30 და მეტი წლის, თბილისი].

- ▶ **უშუშევრობა:** კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, მათ უჭირთ სამსახურის პოვნა, ან არასტაბილური და დაბალი შემოსავალი აქვთ, რაც ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას არ აძლევთ და უწევთ სოციალური შემწეობის იმედად ყოფნა, რომელიც, თავის მხრივ, ძალიან მწირია და ხშირად მისი მოპოვებაც რთულია. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბევრი ქალია სამუშაოდ ემიგრაციაში წასული.
- ▶ **ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა:** იძულებით გადაადგილებულ პირებს არ აქვთ უფასო სამედიცინო მომსახურება და ზოგიერთი მათგანი ვერ ახერხებს მკურნალობის ან მედიკამენტების ხარჯების დაფარვას.
- ▶ **ოჯახში ძალადობა:** მიუხედავად ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით განეული სამუშაოებისა, ძალადობის პრობლემა დღემდე ბევრი ქალისთვის გამოწვევად რჩება.

- ▶ **განვითარების შესაძლებლობების სიმწირე:** რეალიზაციის სივრცეების ნაკლებობის გამო ახალგაზრდებს საზღვარგარეთ წასვლა, იქ სწავლა და მუშაობა სურთ; საქართველოში უჭირთ სამსახურის და სწავლის შეთავსება.

გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს თავად დევნილის სტატუსი. ტერმინ „დევნილს“ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალებისთვის უარყოფითი დატვირთვა ჰქონდა. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდა ქალები აღნიშნავდნენ, რომ ცდილობენ, არ გამოააშკარაონ თავიანთი დევნილობის სტატუსი, დევნილის სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან ასოცირების გამო. მეორე მხრივ, ფოკუს-ჯგუფში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, მათ თავიანთი საცხოვრებლის დატოვება და გადაადგილება მრავალი წლის წინ მოუწიათ. ამჟამად, მათი დიდი ნაწილი სრულად ინტეგრირებულად გრძნობს თავს და მიაჩნიათ, რომ უკვე აღარაფრით განსხვავდებიან ადგილობრივი მოსახლეობისგან - მათაც აქვთ სამსახური, ოჯახები, გაუჩნდათ მეგობრები და ახალი სოციალური კონტაქტები. ფიქრობენ, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამაც უნდა მიიღოს ისინი, როგორც ადგილობრივი თემის ნაწილი, სპეციალური სტატუსის მინიჭების გარეშე.

„30 წელზე მეტია აქ ვცხოვრობთ, უკვე აქაური მცხოვრებლები ვართ და დროა, ხალხი იმ შეგნებამდე მივიდეს, რომ არ გამოყონ „ესენი დევნილები არიან“, როცა ამდენი ხანია აქ ცხოვრობ ამ ადგილის ნაწილი ხარ შენც“.

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, ქუთაისი].

მთლიანობაში, თვისებრივი კვლევის თანახმად, გაჭიანურებული და გადაუჭრელი კონფლიქტების გავლენა იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაზე ამჟამად ეკონომიკურ სირთულეებს, საცხოვრებელ პირობებს და განვითარების/თვითრეალიზაციის შესაძლებლობის ნაკლებობას უკავშირდება.

4.2 იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერის პოლიტიკა და პროგრამები


ქვეთავში განხილულია იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება „დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში“ 2022 წლის 16 დეკემბერს შესული ცვლილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის პოლიტიკის მიმართ. თავში განხილულია რაოდენობრივი კვლევის შედეგები. თუმცა ზოგიერთი საკითხი თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც იყო განხილული.

2022 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება,³⁰ რომლის თანახმადაც, გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს აქვთ 2023 წლის 1-ელ იანვრამდე დაბადებული პირის მიმართ, ხოლო 1-ელი იანვრიდან დაბადებული ბავშვები, საცხოვრისით დაკმაყოფილების დროს, არ იქნებიან გათვალისწინებული სულადობრივად, როგორც ოჯახის წევრები.

კვლევის თანახმად, ამ გადაწყვეტილების შესახებ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების 42%-ს არ სმენია. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ინფორმაცია უფრო მეტად არ აქვთ სოფლად მცხოვრებ (68%-ს არ სმენია) და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ ქალებს (66%-ს არ სმენია) (დიაგრამა 1.1)

დიაგრამა 1.1

გთხოვთ მითხრათ, გსმენიათ თუ არა ამ გადაწყვეტილების შესახებ?




რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება (52% საერთოდ არ ეთანხმება, 25% უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსთან

დაკავშირებულ გადაწყვეტილებას შედარებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ახალგაზრდა (18-29 წლის) ქალების 5% გადაწყვეტილებას სრულად ეთანხმება, 19% კი უფრო ეთანხმება, ვიდრე არა (დიაგრამა 1.2).

დიაგრამა 1.2

რამდენად ეთანხმებით გადაწყვეტილებას, რომ 2023 წლის 1-ელი იანვრიდან დაბადებული ბავშვები, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი აქვთ, არ იქნებიან გათვალისწინებული განსახლების პროგრამაში?




გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა 45-ლარიანი შემწეობა უნდა იყოს მიზნული დევენილის სტატუსზე და ეძლეოდეს ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს (89%), მათ შორის ამ მოსაზრებას იზიარებს

სოფლად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალებისა და 2008 წლის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალების სრული უმრავლესობა (99% და 96% შესაბამისად) (დიაგრამა 1.3)

დიაგრამა 1.3

გთხოვთ, დახედოთ ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს და მითხრათ, რომელ დებულებას ემხრობით.



იძულებით გადაადგილებულ პირთა 45-ლარიანი შემწეობის საკითხი განხილული იყო ფოკუს-ჯგუფებშიც. თვისებრივ კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი 45-ლარიანი შემწეობა თავისთავად ძალიან მცირე თანხას წარმოადგენს და ისიც არაა ხელმისაწვდომი იმ შემთხვევაში, თუ მათი შემოსავალი რომელიმე თვეში გარკვეულ ლიმიტს ასცდება. ასეთ შემთხვევაში 45-ლარიანი დახმარების „მოხსნა“ იძულებით გადაადგილებულ პირებს აფიქრებინებს, რომ ეს თანხა ისევ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სხვა საჭიროებებს კი არ ხმარდება, არამედ რჩება ბიუჯეტში ან ხდება მისი მისაკუთრება/ არამიმზნობრივად ხარჯვა.

„რაც მანუხებს, ეს არის, რომ შენს ქვეყანაში ხარ დევნილი და 45 ლარი გაქვს დახმარება და ეს ძალიან დიდი სირცხვილია და როცა დასაქმებული ხარ, მაგ თანხასაც არ იღებ და შეღავათებით არ სარგებლობ, პროდუქტი თუ რაც იქნება, არის იგივე ღირებულების. თუ დასაქმებული ვარ, რატომ არ უნდა დამირიცხოს ის სამარცხვინო 45 ლარი?“

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 30 და მეტი წლის, თბილისი].

მთლიანობაში, იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერის პოლიტიკასა და პროგრამებს ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები ძირითადად უარყოფითად აფასებდნენ და ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციებისგან ამ სამიზნე ჯგუფისთვის განკუთვნილი დახმარება ხშირად არამიზნობრივად იხარჯება. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ორივე ასაკობრივი ჯგუფი ხშირად ახსენებდა, რომ მათ არ აქვთ რაიმე მნიშვნელოვანი პრივილეგიები, დაფინანსება ან მხარდაჭერა, როგორც იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას.

თვისებრივი კვლევის თანახმად, იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისთვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საცხოვრებლის მიღება, რაც ხშირ შემთხვევაში უსამართლობის შეგრძნებას ამძაფრებს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ასახელებდნენ შემთხვევებს, როდესაც ბინა ვერ მიიღეს სოციალურად დაუცველმა და მრავალწევრიანმა ოჯახებმა, თუმცა რამდენიმე ბინა მიიღეს ისეთებმა, ვინც ადგილობრივ მცხოვრებზე იქორწინა და შვილები გააჩინა. დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ელოდება სახლით დაკმაყოფილებას და უწევს კომპაქტურ ჩასახლებებში ცხოვრება, სადაც ძალიან მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები აქვს. ისინიც კი, ვინც სახლით დააკმაყოფილეს, უკმაყოფილო არიან სახლის/ფართის მდგომარეობით და არსებული პირობებით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალების მნიშვნელოვან ნაწილს არ სმენია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ორგანოებს 2023 წლის 1-ელი იანვრიდან დაბადებული ბავშვების მიმართ არ გააჩნიათ გრძელვადიანი საცხოვრისით უზრუნველყოფის ვალდებულება და ეს ბავშვები სულაღობრივად, როგორც ოჯახის წევრები, საცხოვრისით დაკმაყოფილების პროცესში გათვალისწინებული არ იქნებიან. გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა ამ გადანაცვლებას არ ეთანხმება.
2. მათი უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა 45-ლარიანი შემწეობა მიბმული უნდა იყოს დევნილის სტატუსზე და ეძლეოდეს ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს.
3. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები კრიტიკულად აფასებდნენ ზოგადად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერის პოლიტიკასა და პროგრამებს.

◆ 5 ◆ იძულებით გადაადგილებული ქალების კონტაქტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან და საკომუნიკაციო არხები


ამ თავში განხილულია გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების კავშირები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, გამყოფი ხაზის მიღმა მყოფ ახლობლებთან კონტაქტი და ამ რეგიონებში მიმდინარე სიახლეებზე ინფორმაციის მიღების არხები და მოცემულია რაოდენობრივი კვლევის შედეგები, ასევე, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოყვანილია მხოლოდ ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია.

ჯამურად, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული იძულებით გადაადგილებული

ქალების თითქმის ნახევარს ჰყავს ერთი ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი ან ნაცნობი მაინც, რომელიც აფხაზეთსა ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს (დიაგრამა 2.1). მათგან უმრავლესობას ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი ან ნაცნობი ჰყავს აფხაზეთში (გალი 49%, სოხუმი 32%, ოჩამჩირე 13%) (ცხრილი 1). კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედი, ვისაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ჰყავს ახლობელი, აღნიშნავს, რომ მათი ახლობელი ეთნიკურად აფხაზი (31%), ხოლო 4%-ის ახლობელი, ეთნიკურად ოსია (ცხრილი 1).

დიაგრამა 2.1

პირადად თქვენ ან თქვენს ოჯახს გყავთ თუ არა ოჯახის წევრი, ნათესავი, მეგობარი ან ნაცნობი, რომელიც ამჟამად აფხაზეთში და/ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს?



ცხრილი 1

იძულებით გადაადგილებულ ქალთა კონტაქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან


	ჯამურად N=600	18-29 წელი N=116	30 + წელი N=484	საქალაქო დასახლება N=485	სასოფლო დასახლება N=115	დეჰნილი- ბის I ტალღა N=466	დეჰნილი- ბის II ტალღა N=134
B7. გთხოვთ, მითხრათ, სად ცხოვრობს თქვენი ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/ ნაცნობი.							
აფხაზეთი	87%	88%	87%	94%	13%	96%	7%
გალი	49%	58%	47%	53%	9%	54%	0%
ტყვარჩელი	4%	8%	3%	5%	0%	5%	0%
ოჩამჩირე	13%	12%	14%	14%	0%	15%	0%
გულრიფში	4%	4%	4%	4%	0%	4%	0%
სოხუმი	32%	34%	32%	35%	4%	36%	0%
გუდაუთა	2%	4%	2%	2%	0%	2%	0%
გაგრა	9%	4%	10%	10%	0%	10%	0%
კოდორი	1%	2%	1%	1%	0%	0,4%	7%
ცხინვალის რეგიონი / სამხრეთ ოსეთი	11%	6%	12%	5%	78%	3%	86%
ახალგორი	1%	0%	2%	0%	13%	0%	14%
ცხინვალი	10%	6%	11%	6%	65%	4%	71%
არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	1%	6%	0%	1%	9%	1%	7%
	n=287	n=50	n=237	n=264	n=23	n=259	n=28
B8. გთხოვთ, მითხრათ, რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის თქვენი ოჯახის წევრი/ნათესავი/მეგობარი/ ნაცნობი.							
არის აფხაზი	31%	34%	31%	34%	0%	35%	0%
არის ოსი	4%	4%	4%	3%	17%	2%	29%
არის ქართველი	84%	80%	85%	84%	83%	85%	79%
სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი	3%	2%	4%	4%	0%	4%	0%
არ ვიცი, მიჭირს პასუხი	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
	n=287	n=50	n=237	n=265	n=23	n=260	n=28

5-დან 1 რესპონდენტი, რომელსაც აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ჰყავს ახლობელი, აღნიშნავს, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში მათთან საერთოდ არ ჰქონია კომუნიკაცია (18%). დაახლოებით ამდენივე, ახლობლებს წელიწადში რამდენჯერმე

ეკონტაქტება (20%). თუმცა, უმრავლესობას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახლობლებთან საკმაოდ ხშირი კომუნიკაცია აქვს და თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად ახერხებენ დაკავშირებას (61%) (დიაგრამა 2.2).

დიაგრამა 2.2

გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 1 წლის განმავლობაში, რამდენად ხშირად ეკონტაქტებით თქვენი ოჯახის წევრებს / ახლობლებს / ნათესავებს გამყოფი ხაზის მეორე მხარეს.




იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახლობლებთან საკომუნიკაციო ძირითად საშუალებას ინტერნეტი/სოციალური ქსელი (65%) წარმოადგენს. თუმცა, 17%-ის შემთხვევაში აფხაზეთში და ცხინვალის

რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახლობელი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო ჩამოსული, 8% კი თავად (ან მისი ოჯახის წევრი) იყო ჩასული აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (დიაგრამა 2.3).

დიაგრამა 2.3

ბოლო ერთი წლის მანძილზე კომუნიკაციის რა საშუალებები გამოგიყენებიათ მათთან ურთიერთობისთვის?



ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, 2008 წლამდე უფრო მარტივად შეეძლოთ აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მყოფ ახლობლებთან სტუმრობა, თუმცა ბოლო წლებში მათთან ჩასვლა გართულებულია და ხშირად მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია აქვთ. ერთეულ შემთხვევაში აღნიშნეს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახლობლების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ცდილობენ, მათ ტელეფონითაც არ ეკონტაქტონ ხშირად.

” მათთან კონტაქტი [ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში], სატელეფონოც კი, არის ძალიან გართულებული, თითქმის შეუძლებელია. ჩვენამდე მოდის ხმები, რომ რაღაც-რაღაცებს უკრძალავენ, მაგალითად სახლიდან გამოსვლა გრაფიკით ხდება, რაღაც ზოლია და იმის იქით აღარ აქვთ გასვლის უფლება. ამის გამო, თუ ძალიან საჭიროება არ მოითხოვს, ვცდილობთ, რომ არ ვეკონტაქტოთ და ისევ მათ არ შევუქმნათ პრობლემა.“


[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, გორი].

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები აღნიშნავენ, რომ მათთვის, ვინც გამყოფი ხაზის გადაკვეთას მაინც ახერხებს, პროცესი გართულებული და დამამცირებელია. აუცილებლად სჭირდებათ იქ მცხოვრები ნათესავის ოფიციალური, წერილობითი მონვევა; გადასვლისას რამდენიმე პუნქტის გავლა უნევთ, სადაც ამონმებენ, ხშირად კი, დამამცირებლად და დამცინავადაც ესაუბრებიან. გარდა ამისა, გამყოფი ხაზების გადასაკვეთად საჭირო საბუთების გაკეთება მნიშვნელოვან ფინანსებთანაა დაკავშირებული.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახლობლებთან ყველაზე ხშირად ერთმანეთის ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს განიხილავენ (78%) და საერთო ნაცნობებზე - მეგობლებზე, ნათესავებზე, გარშემომყოფებზე საუბრობენ (35%). თუმცა, გარდა ამისა, ასევე ხშირად განიხილება ჯანდაცვის (47%), ეკონომიკური მდგომარეობის (27%) და უსაფრთხოების (25%) საკითხებიც. 10% იძულებით გადაადგილებული ქალებისა, რომლებსაც გამყოფი ხაზის მიღმა ჰყავთ ახლობლები, მათთან განიხილავენ რუსეთ-უკრაინის ომს, საუბრობენ ქართულ-აფხაზურ/ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და მის შედეგებზე (9%), საქართველოს მთავრობასა (6%) და საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე (5%) (დიაგრამა 2.4)

დიაგრამა 2.4

რა არის ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც კომუნიკაცია გაქვთ გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ ოჯახის წევრთან / ახლობელთან / ნათესავთან?




იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეებზე ინფორმაციის მიღების მთავარ არხს ქართული საინფორმაციო არხები (ტელევიზია/რადიო) (75%) და სოციალური ქსელები (47%) წარმოადგენს (დიაგრამა 2.5). ქართული საინფორმაციო არხებიდან ინფორმაციას უფრო მეტად სასოფლო დასახლებებში მცხოვრები და 2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალები იღებენ, ხოლო სოციალური ქსელის მოხმარება ყველაზე მაღალია 18-29 წლის ახალგაზრდა ქალებში (75%). სხვადასხვა სოციალურ ქსელს შორის, ყველაზე აქტიურად ფეისბუქს მოიხმარენ, (46%),

თუმცა, ახალგაზრდა (18-29 წლის) ქალებში, უკვე ინსტაგრამიც ძალიან პოპულარულია (19%).

ქართული სატელევიზიო არხების და სოციალური ქსელების გარდა, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეებზე ინფორმაციას ასევე იღებენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები (15%) ან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები (10%) ახლობლებისგან, ონლაინ მედიასაშუალებების (13%) და საერთაშორისო საინფორმაციო არხების (7%) საშუალებით (დიაგრამა 2.5).

დიაგრამა 2.5

გთხოვთ, მითხრათ, ზოგადად, საიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეებზე.



აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები თქმით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაცია მწირია - რთულად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია იქაურ ყოფაზე, მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში გაიხსენეს ბლოგერი, რომელიც სოციალურ ქსელში ვიდეოებს აქვეყნებს და შესაძლებელია, ნახონ შენობების, ან ბუნების ფოტოები და ვიდეოები. ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, ის პირებიც კი, რომლებიც გამყოფი ხაზის მიღმა ნათესავების მონახულებას ახერხებენ, შემდეგ ამაზე ნაკლებად ლაპარაკობენ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს არცერთი საინფორმაციო წყარო სანდოდ არ მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ ყველა სატელევიზიო ან მედიაარხი მიკერძოებულია და ისინი რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესს

ატარებენ. ძირითად შემთხვევაში აღნიშნავდნენ, რომ ინფორმაციას რამდენიმე არხიდან იღებენ და შემდეგ თავად წყვეტენ, რომელია სიმართლე.

შეჯამების სახით რომ ითქვას, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების დიდ ნაწილს აქვს კონტაქტი და საკმაოდ ხშირი კომუნიკაცია გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობასთან - უმრავლესობა ახერხებს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მყოფ ახლობლებს თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად დაუკავშირდეს. გამყოფი ხაზის მიღმა მყოფ ახლობლებთან საკომუნიკაციოდ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალები, ძირითადად, სოციალურ ქსელს იყენებენ, მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს მათთან ფიზიკურად შეხვედრას (ჩადიან ახლობლებთან ან ისინი ჩამოდიან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად

ტერიტორიაზე). თუმცა, ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალების თქმით, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მყოფ ახლობლებთან სტუმრობა ბოლო წლებში გართულებულია. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის ამ

რეგიონში მიმდინარე სიახლეებზე ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროებს ქართული საინფორმაციო არხები და სოციალური ქსელი წარმოადგენს. მათ შორის, სოციალური ქსელით ინფორმაციას, ძირითადად, ახალგაზრდა (18-29 წლის) ქალები იღებენ.


◆ 6 ◆ იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ

ამ თავში განხილულია გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი, ოსი, ქართველი და ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობის მიმართ. ასევე, კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები, აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობების შესახებ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მიმართ. ამ თავში ასევე, განხილულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, თუმცა, ზოგიერთ ადგილას მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფებიდან.

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, იძულებით გადაადგილებული ქალების განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ, უმეტესად დადებითია (დიაგრამა 3.1). გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ პირადად მისი განწყობა ამ რეგიონებში მცხოვრები აფხაზი (78%), ოსი (75%), ქართველი (91%) და სხვა ეთნიკური წარმომავლობის (74%) მოსახლეობის მიმართ სრულიად დადებითი ან უფრო დადებითია, ვიდრე უარყოფითი (დიაგრამა 3.1).

დიაგრამა 3.1

როგორია პირადად თქვენი განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზების, ოსების, ქართველი ან სხვა მოსახლეობის მიმართ - სრულიად დადებითი, უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი, უფრო უარყოფითი ვიდრე დადებითი თუ ძალიან უარყოფითი?




ამასთან შედარებით, იძულებით გადაადგილებულ ქალთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ აფხაზ და ოს მოსახლეობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისა და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ დადებითი განწყობები აქვთ. კვლევის მონაწილეთა 43% აღნიშნავდა, რომ აფხაზების დამოკიდებულება ქართველებისა და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ დადებითი ან ძალიან დადებითია და 36% მიიჩნევს, რომ ოსი მოსახლეობის განწყობები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი და იძულებით

გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ დადებითი ან ძალიან დადებითია (დიაგრამა 3.2). აფხაზებისა და ოსების აღქმებთან დაკავშირებული მოსაზრებები მსგავსია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, საქალაქო დასახლებაში მცხოვრებთა და კონფლიქტის პირველი ტალღის შედეგად დაზარალებულ ქალებში (დიაგრამა 3.2). ხოლო სასოფლო დასახლებებში გამოკითხულ და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობას (86%-87%) გაუჭირდა შეეფასებინა აფხაზი მოსახლეობის განწყობები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ (დიაგრამა 3.2).

დიაგრამა 3.2

თქვენი აზრით, როგორია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მიმართ - სრულიად დადებითი, უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი, უფრო უარყოფითი ვიდრე დადებითი თუ ძალიან უარყოფითი?



ცხრილი 2

თქვენი აზრით, როგორია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მიმართ - სრულიად დადებითი, უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი, უფრო უარყოფითი ვიდრე დადებითი თუ ძალიან უარყოფითი?

		ჯამურად N=600	18-29 წელი N=116	30 + წელი N=484	საქალაქო დასახლება N=485	სასოფლო დასახლება N=115	დევენი- ლიბის I ტალღა N=466	დევენი- ლიბის II ტალღა N=134
აფხაზი მოსახლეობის განწყობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მიმართ								
ქართველების მიმართ	სრულიად დადებითი	17%	21%	16%	21%	2%	22%	1%
	უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	26%	28%	25%	30%	7%	32%	5%
	უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	19%	22%	18%	22%	3%	23%	4%
	ძალიან უარყოფითი	7%	6%	7%	8%	2%	8%	2%
	არ ვიცი, მიჭირს პასუხი	31%	24%	33%	18%	87%	15%	87%
	უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ	სრულიად დადებითი	18%	22%	17%	21%	3%	22%	1%
	უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	26%	23%	26%	31%	5%	31%	7%
	უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	19%	23%	17%	22%	3%	23%	3%
	ძალიან უარყოფითი	6%	5%	6%	7%	2%	7%	3%
	არ ვიცი, მიჭირს პასუხი	32%	26%	33%	19%	87%	16%	86%
	უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%

ოსი მოსახლეობის განწყობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მიმართ								
ქართველების მიმართ	სრულიად დადებითი	16%	18%	16%	19%	4%	20%	2%
	უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	21%	24%	20%	22%	17%	21%	21%
	უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	21%	25%	19%	12%	57%	11%	54%
	ძალიან უარყოფითი	5%	3%	6%	6%	3%	6%	3%
	არ ვიცი, მიჭირს პასუხი	36%	29%	38%	41%	15%	41%	18%
	უარი პასუხზე	1%	0%	1%	1%	3%	1%	2%
იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ	სრულიად დადებითი	16%	22%	15%	19%	3%	20%	2%
	უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი	21%	20%	21%	22%	18%	21%	21%
	უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი	20%	26%	19%	12%	57%	11%	52%
	ძალიან უარყოფითი	6%	3%	7%	7%	3%	7%	4%
	არ ვიცი, მიჭირს პასუხი	36%	29%	37%	41%	15%	41%	19%
	უარი პასუხზე	1%	0%	1%	1%	3%	1%	2%

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, ეთნიკურად აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობაზე გავლენას ახდენს რუსული პროპაგანდა. მათი ინფორმაციით, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმშია და მათ მუდმივად აწვდიან არასწორ ინფორმაციას, უნერგავენ ქართველების ზიზღს, მათ შორის, პატარა ასაკიდანვე, ასწავლიან დამახინჯებულ ისტორიას, იკრძალება ქართულად საუბარი, ქართულს აღარ ასწავლიან სკოლებში და თუ ბავშვი მხოლოდ

ქართულად საუბრობს, მას სკოლაში არ იღებენ. რესპონდენტების აზრით, ამ მდგომარეობის შეცვლა მხოლოდ რუსეთზე დამოკიდებული.

”საზოგადოება არ არის კონფლიქტში იმდენად, რამდენადაც პოლიტიკა არის კონფლიქტური.“

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, ფოთი].

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები ფიქრობენ, რომ აფხაზებთან და ოსებთან კარგი ურთიერთობის აღდგენას შეძლებენ, რადგან 2008 წლის კონფლიქტამდე მათთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ნაწილი იხსენებდა აფხაზ ნაცნობებს, ვისაც დღესაც უნდა ქართველებთან შეერიგება. დაასახელეს აფხაზებთან პოზიტიური ურთიერთობის მაგალითებიც, კერძოდ, აფხაზმა ოჯახმა გამოიყენა დევნილის ეზო საქმიანობისთვის, თუმცა, ამისთვის მათგან ნებართვა აიღო და დღემდე მადლობის ნიშნად უგზავნის თაფლის და ხილის მოსავალს.

შეჯამებისთვის, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების განწყობა აფხაზეთსა

და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები აფხაზი, ოსი, ქართველი და სხვა ეროვნების/ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობის მიმართ, ძირითადად პოზიტიურია. თუმცა, შედარებით ნაკლები რესპონდენტი მიიჩნევს, რომ აფხაზ და ოს მოსახლეობას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიმართ დადებითი განწყობები აქვს. ფოკუს-ჯგუფებში აღნიშნეს, რომ მათი ინფორმაციით, აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობაზე გავლენას ახდენს რუსული პროპაგანდა და მათ არ აქვთ თავისუფალი წვდომა ინფორმაციაზე.

◆ 7 ◆ შერიგებისა და დაბრუნების მიმართ არსებული განწყობები


ამ თავში განხილულია კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების განწყობები აფხაზ და ოს მოსახლეობასთან შერიგებასთან დაკავშირებით და, ასევე, აფხაზეთში და/ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნებასთან დაკავშირებული სურვილები და მოლოდინები. ამ თავში განხილულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, თუმცა ზოგიერთ ადგილას მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფებიდან.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა აფხაზ

და ოს მოსახლეობასთან შერიგების მომხრეა. აფხაზ მოსახლეობასთან შერიგებას ემხრობა კვლევის მონაწილეთა 88%, მათ შორის 64% სრულიად ემხრობა, ხოლო ოს მოსახლეობასთან შერიგებას 85%, მათ შორის 63% სრულიად ემხრობა. ეს განწყობა განსხვავებულია სასოფლო დასახლებებში მცხოვრები და 2008 წლის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალების შემთხვევაში, რომელთაგან საშუალოდ ყოველი მეხუთე იძულებით გადაადგილებული ქალი აღნიშნავს, რომ არ არის აფხაზ და/ან ოს მოსახლეობასთან შერიგების მომხრე (დიაგრამა 4.1).

დიაგრამა 4.1

როგორია პირადად თქვენი განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ აფხაზ და ოს მოსახლეობასთან შერიგებასა და ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით?



კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თითქმის მესამედი ეთანხმება აზრს, რომ ისინი ადაპტირდნენ ახალ გარემოსთან - ადგილობრივი მცხოვრებლები არიან, ჰყავთ ოჯახი და მეგობრები, აქვთ სამსახური და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასვლის სურვილი ნაკლებად აქვთ (29%). ეს განწყობა განსაკუთრებით გამოკვეთილია ახალგაზრდა (19-29წ.) ასაკობრივ ჯგუფში - სადაც ამ აზრს ეთანხმება კვლევის მონაწილეთა 42% (დიაგრამა 4.2).

“იმდენად კომფორტულად ვარ, ახლა სადაც ვარ და როგორც ვარ და როგორც განვვითარდი, რომ სურვილი არ მაქვს, ყველაფერი დავტოვო და წავიდე.”

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, გორი].

“მე რომ მითხრა, ადექი და წადი აფხაზეთშიო, მე აქ მყავს ოჯახი, აქ მყავს მეგობრები, აქ ვარ გაზრდილი, იმ მონაცემების გარდა და იმ ვიდეოკასეტების გარდა, რაც დავგვრჩა იქიდან, მე აფხაზეთთან არანაირი კავშირი სხვა არ მაქვს, ჩვენი სახლი განადგურებულია, ფილებიც კი წაღებულია, ცარიელი კარკასია დატოვებული ორსართულიანი სახლიდან და რომ წავიდე, სად და ვისთან წავიდე?”

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29, თბილისი].

კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედი ეთანხმებოდა აზრს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი, ნაკლებად დაბრუნდებოდა საცხოვრებლად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რადგან იქ არ არის განვითარების შესაძლებლობა/განვითარების დონე დაბალია (34%), მათ შორის, ამ აზრს იზიარებს ახალგაზრდა ქალების თითქმის ნახევარი (25% სრულიად ეთანხმება, 22% უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება).


თუმცა, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა არ იზიარებს არცერთ აზრს (უფრო მეტად არ ეთანხმება ან არ ეთანხმება 69% და 65%, შესაბამისად) და ჯერ კიდევ აქვთ დაბრუნების სურვილი და/ან იმედი (დიაგრამა 4.2, 4.3). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები აღნიშნავდნენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არ იყოს სასურველი საცხოვრებელი/საარსებო პირობები, ზოგიერთ მათგანს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც არ აქვს უკეთესი ცხოვრება. შესაბამისად, ფიქრობენ, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საცხოვრებლად ბევრი იძულებით გადაადგილებული პირი წავიდოდა.

“მე მგონი აქაც არ გვაქვს ისეთი პირობები, იქაური პირობები რომ არ აირჩიო, როცა აქ არაფერი არ გაქვს, მაინც იქეთ გარბიხარ... რომელია დალაგებული იმდენად, რომ იქაურობა არ აირჩიოს?”

[FG 4, ფოთი, 18-50 წლის იძულებით გადაადგილებული ქალები].


დიაგრამა 4.2

გთხოვთ, დახედოთ ბარათს და მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით დებულებას: მე უკვე ადგილობრივი მცხოვრები ვარ, აქ მაქვს ოჯახი, სამსახური და/ან მყავს მეგობრები და საცხოვრებლად აფხაზეთში/ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში არ გადავიდოდი.



დიაგრამა 4.3

გთხოვთ დახედოთ ბარათს და მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით დებულებას: შესაძლებლობის შემთხვევაში არ გადავიდოდი აფხაზეთში და/ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რადგან იქ არ არის განვითარების შესაძლებლობა / განვითარების დონე დაბალია.



კვლევის თანახმად, გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალებს ნაკლებად აქვთ მომავალი 10 წლის მანძილზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დატოვებული ქონების დაბრუნების და საცხოვრებლად გადასვლის მოლოდინი, ისევე როგორც, ნაკლებად მოსალოდნელად მიაჩნიათ დაბრუნება, თუმცა ქონების დაბრუნების გარეშე - ორივე შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედზე ნაკლები ფიქრობს, რომ დაბრუნება

ნამდვილად მოსალოდნელი ან მეტ-ნაკლებად მოსალოდნელია (31%) (დიაგრამა 4.4).


შედარებით ოპტიმისტურია განწყობა თავისუფლად გადაადგილებასთან დაკავშირებით - უფრო მეტ იძულებით გადაადგილებულ ქალს აქვს მოლოდინი, რომ მომავალი 10 წლის განმავლობაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა ექნება (36%) (დიაგრამა 4.4).

იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული ქონების დაბრუნება და საცხოვრებლად გადასვლა ან თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა თანაბრად სასურველი პირობაა (73% და 77%, შესაბამისად). თუმცა, ამასთან შედარებით, ნაკლებად აქვთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ

ოსეთში თავიანთი სახლ-კარის გარეშე დაბრუნების სურვილი. ალტერნატივებს შორის, უკიდურეს შემთხვევაში კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათთვის სახლ-კარის გარეშე დაბრუნების გზაც სასურველი იქნებოდა (58%, მათ შორის, სავსებით სასურველია 38%-ისთვის) (დიაგრამა 4.5).


დიაგრამა 4.4

გთხოვთ, დახედოთ ბარათზე მოცემულ დებულებებს და მითხრათ, მომავალი 10 წლის მანძილზე თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია:



დიაგრამა 4.5

გთხოვთ, დახედოთ ბარათზე მოცემულ დებულებებს და მითხრათ, პირადად თქვენთვის რამდენად სასურველი ან არასასურველია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი სიტუაცია.



თვისებრივი კვლევის თანახმად, აფხაზეთში და/ან ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაბრუნება, იძულებით გადაადგილებული ქალების ნაწილში არასტაბილურობასა და საფრთხესთან ასოცირდება, რადგან წლებია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მშვიდად ცხოვრობენ და არ აქვთ გარანტია, რომ, თუკი დაბრუნდებიან, ხელმეორედ არ გამოდევნიან. ასევე, ფოკუს-ჯგუფების დროს გამოითქვა აზრი, რომ, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღიქმებიან დევნილებად და საზოგადოება წლების მანძილზე მათ არ იღებდა, იმავე მოცემულობაში აღმოჩნდებიან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაბრუნების შემთხვევაშიც და აქვთ განცდა, რომ „დევნილის სახელს ვერასდროს მოიშორებენ“. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ წლების მანძილზე სხვა ქალაქში ცხოვრების შედეგად გაუჩნდათ საქმე, შეიძინეს მეგობრები და სოციალური კონტაქტები, ჰყავთ ოჯახი, აქვთ სამსახური და დაბრუნება გარკვეულწილად დევნილობის საწყის ეტაპზე გავლილი სტრესსა და გაჭირვებასთან დაბრუნებას ნიშნავს.

მთავარი დასკვნა სახით, კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა აფხაზ და ოს მოსახლეობასთან შერიგების მომხრეა. თუმცა გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობას ჯერ კიდევ აქვს დაბრუნების სურვილი და/ან იმედი. კვლევის მონაწილეებს მომავალი 10 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის მოლოდინი აქვთ.

” როგორც ვთქვით იქიდან წამოსვლა და ყველაფრის თავიდან დაწყება ძალიან რთული იყო. აქედან რომ ადგე და იქ ყველაფერი ნულიდან დაიწყო, ესეც ძალიან რთული იქნება“.

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, ქუთაისი].

” ამდენი წელია ვებრძვი ამ ცხოვრებას და ისევ თავიდან უნდა დავიწყო?! ძალიან რთული იქნება“.

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 30 და მეტი წლის, ქუთაისი].

” 40 წელი შევასრულე და ვამბობ, რომ დავბერდი და ახლა 30 წელი თუ აქეთ ვიჯახირე და მერე 30 წელი კიდევ იქეთ, რა გამოვიდა?!“.

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-50 წლის, ფოთი].

◆ 8 ◆ მოსაზრებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ

8.1 ინფორმაციის დონე კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესისა და პროექტების შესახებ

ამ ქვეთავში განხილულია კონფლიქტის ტრანსფორმაციის და მშვიდობის მშენებლობის იდეების, ამ საკითხებზე მომუშავე ადამიანების, ორგანიზაციებისა და პროექტების ცნობადობა. ამ თავში განხილულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფებიდან.

კვლევის მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების 24%-ს სმენია კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის იდეების შესახებ (დიაგრამა 5.1), 29%-ს კი სმენია იმ ადამიანების, ორგანიზაციების ან სახელმწიფო პროექტების შესახებ, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაზე მუშაობენ (დიაგრამა 5.2).

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობაში მოიხილნენ მიმდინარე სიტუაციის „უკეთესობისკენ“ შეცვლას, საომარი მდგომარეობის შექმნის თავიდან არიდებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესის გაძლიერებას. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა თქმით, ამ მიმართულებით ბოლო წლებში შემცირებულია როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო

ორგანიზაციების აქტიურობა და თითქმის აღარ აქვთ ინფორმაცია მიმდინარე პროექტებისა და აქტივობების შესახებ.


„**ძალიან დიდი ხანია არ შემხვედრია სოხუმზე, ტერიტორიების დაბრუნებაზე ან დევნილების დახმარებაზე ინფორმაცია. 6 თვეში ერთხელ თუ დადებენ ინფორმაციას, რომ ჩატარდა სხდომა. მაგრამ მე მაინტერესებს, რა ილაპარაკეს, რა მოაგვარეს, რაღაც იმედი არის?! ამაზე არავინ არ წერს.**“

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, ქუთაისი].

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებული ქალების ნაწილში არსებობს უნდობლობა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ჩართული ჯგუფების მიმართ. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები აცხადებდნენ, რომ არ აქვთ იმედი, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება, აქვთ განცდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება, სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრები და სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობა ფასადურია და მხოლოდ ხალხისთვის საჩვენებლად არის შექმნილი.


დიაგრამა 5.1

გსმენიათ თუ არა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის იდეების შესახებ?:



დიაგრამა 5.2

გსმენიათ თუ არა ადამიანების, ორგანიზაციების ან სახელმწიფო პროექტების შესახებ, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაზე მუშაობენ?



რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გაანალიზდა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით განხორციელებული პროექტებისა და ამ პროცესში ჩართული მხარეების ცნობადობა. კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული 10 ქალიდან ერთი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ სმენია არცერთი პროექტის შესახებ (10%), ან გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა (11%) (დიაგრამა 5.2).

კვლევის მონაწილეთა ნახევარს სმენია ოფიციალური მოლაპარაკებების (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების) (53%) და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის (49%) შესახებ (დიაგრამა 5.3). აღსანიშნავია, რომ

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში ხშირად სოციალური მხარდაჭერის პროექტებს მოიაზრებდნენ, მაგალითად, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ახსენეს გაეროს საქმიანობა კონფლიქტის დაწყების სანყის ეტაპზე, როდესაც გაეროს წარმომადგენლები იკვლევდნენ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის საჭიროებებს და შესაბამის დახმარებას უწევდნენ მათ.

იძულებით გადაადგილებულ ქალებში მაღალია საქართველოს სახელმწიფოს ჯანდაცვის პროექტის (რეფერალური პროგრამა/უფასო ჯანდაცვა) და საქართველოს სახელმწიფოს სამშვიდობო ინიციატივის (ნაბიჯი უკეთესი

მომავლისკენ/ვაჭრობა და განათლება) ცნობადობა (43% და 30%, შესაბამისად) (დიაგრამა 5.3). ეს პროექტები განხილული იყო ფოკუს-ჯგუფებშიც, სადაც იძულებით გადაადგილებულმა ქალებმა განსხვავებული დამოკიდებულებები გამოამჟღავნეს. ერთი მხრივ, დისკუსიებში მონაწილე ქალების ნაწილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზეთისთვის უფასო ჯანდაცვის სერვისის მიწოდება, პენსია და სხვა ტიპის დახმარებები კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯებია. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ინიციატივები იძულებით გადაადგილებულ ქალებში უსამართლობის განცდას იწვევს, რადგან თავად ამგვარი პრივილეგიებით სარგებლობა არ შეუძლიათ. გარდა ამისა, მიაჩნიათ, რომ ეს ქმედებები ნაკლებად ეფექტიანია და ის აფხაზეთს ვი, ვინც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უფასოდ მკურნალობენ, სამედიცინო დახმარების მიღებას ვალდებულებად აღიქვამენ და ქართველების მიმართ განწყობა არ ეცვლება.

“მინც არ არის ეს ბოლომდე სწორი მიმართულება, ჩემი აზრით. ისინი [აფხაზები] სულ ფუფუნებაში არიან და ჩვენ სულ მონები ვართ“.

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 30 და მეტი წლის, ქუთაისი].

“აფხაზები გადმოდინან და მათ უფასოდ მკურნალობენ, უფასოდ უკეთებენ ყველაფერს. ზოგიერთი უსაბუთოდაც გადმოდის; ჩვენ გადასვლაც არ შეგვიძლია და ცოტა სიყვარული მინც ხომ უნდა ჰქონდეთ, რომ, რადგან ამას გვიკეთებენ, არ ყოფილან ჩვენი მტრები, არა?“

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 30 და მეტი წლის, ზუგდიდი].

“აი, ჩემი დრმა პროტესტი არის იმის მიმართ, რომ საზღვრის პირას მყოფ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ გამყოფ ხაზებთან, თავიანთ სახლებში, სწავლას უფინანსებენ 100%-ით და ჩვენ [დევნილებს] - არა.“


[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, თბილისი].

კვლევის მონაწილეთა მესამედს სმენია არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ (36%) (დიაგრამა 5.3). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებულ ქალებს უჭირდათ კონკრეტული ორგანიზაციების ან მათ მიერ განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების დასახელება. მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში ახსენეს რიგი ორგანიზაციების სახელები ან გაიხსენეს მათი საქმიანობა. მათ შორის, ახსენეს იძულებით გადაადგილებული ქალების შეხვედრები აფხაზეთში მცხოვრებ ქალებთან, სადაც ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ, საინფორმაციო შეხვედრები (გალსა და სოხუმში), კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება (ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში), ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის დახმარება. თუმცა ამ შემთხვევაშიც აღნიშნეს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი აქტივობების შესახებაც არაფერი სმენიათ.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედს (34%) სმენია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის შესახებ, მეოთხედს კი (24%), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შესახებ კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 8%-ს სმენია (დიაგრამა 5.3).

დიაგრამა 5.3

გთხოვთ, დახედეთ ბარათზე მოცემულ ჩამონათვალს და მითხარით, ვისი ჩართულობის და რომელი პროექტების შესახებ გსმენიათ?



რომ შევაჯამოთ, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების დიდ ნაწილს არც კი სმენია კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის იდეების, ასევე ამ მიმართულებით მომუშავე ადამიანების, ორგანიზაციების და სახელმწიფო პროექტების შესახებ. მათ ყველაზე მეტი ცნობადობა ოფიციალური მოლაპარაკებების (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები) და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ აქვთ.

8.2 კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაში ჩართული ჯგუფები

ამ ქვეთავში განხილულია გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების შეხედულებებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ტრანსფორმაციაში ჩართულ ჯგუფებზე. ამ თავში განხილულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, თუმცა ზოგიერთ ადგილას მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფებიდან.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ტრანსფორმაციისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ჩართულობა (70%) (დიაგრამა 11.4). თვისებრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, ამ კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ამის გარეშე მთლიანად საზოგადოების ან კონკრეტულად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის, მათ შორის, ქალების ჩართულობა ეფექტიანი არ იქნება. რესპონდენტების აზრით, არსებული კონფლიქტის მოგვარება, პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებშია და, შესაბამისად, მათი აზრით, სწორედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობაა მთავარი.

კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ასევე ფიქრობს, რომ კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობაც (56%) (დიაგრამა 5.4). ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებს განიხილავენ, როგორც ნეიტრალურ მხარეს, რომელსაც შეუძლია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შესვლა და მოლაპარაკებებისა თუ სხვა შეხვედრების შემთხვევაში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კვლევის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ასევე, დევნილ ქალებს ფინანსური მხარდაჭერის მოლოდინიც აქვთ.

გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების ნახევარი ფიქრობს, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის აუცილებელია

თავად იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (50%) და მათ შორის, იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდებისა (39%) და ქალების (26%) ჩართულობაც (დიაგრამა 11.4). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებში მონაწილე ქალები საუბრობდნენ იმ ბარიერებზე, რომლებიც დღეს ქალებს, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ ქალებს ხელს უშლის მონაწილეობა მიიღონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში.

“ ჩემი აზრით, უმეტესწილად მთავრობის პასუხისმგებლობაა, გატარდეს საჭირო რეფორმები იმისთვის, რომ მოხდეს ჩვენი, აფხაზებისა და ოსების დაახლოება, ჩამოყალიბდეს მეგობრული ურთიერთობა.”


[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, თბილისი].

გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედი ფიქრობს, რომ ამ პროცესებში მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობების ჩართულობაც (32%), ყოველი მეხუთე გამოკითხულის აზრით კი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დევნილი მთავრობების მონაწილეობაც აუცილებელია (19%) (დიაგრამა 5.4).

გამოკითხულთა მეოთხედი მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესში უნდა ჩაერთოს მედია (25%), საზოგადოების ფართო მასები (24%) და არასამთავრობო ორგანიზაციები (22%) (დიაგრამა 5.4).

დიაგრამა 5.4

თქვენი აზრით, ვისი ჩართულობაა დღეს მნიშვნელოვანი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით ტრანსფორმაციისთვის:




იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და დადებითი ცვლილებებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც აფხაზებთან (72%), ასევე ოსებთან დიალოგის დაწყება, გააქტიურება და გაღრმავება (დიაგრამა 1.5).

10-დან 4 იძულებით გადაადგილებული ქალი ასევე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია რუსეთთან დიალოგის დაწყება/გააქტიურება (41%). მათ შორის, რუსეთთან დიალოგის დაწყების მომხრე უფრო მეტად საქალაქო დასახლებაში მცხოვრები და 1991-93 წლების კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალები არიან (46% და 49%, შესაბამისად) (დიაგრამა 5.5).

დიაგრამა 5.5

თქვენი აზრით, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და დადებითი ცვლილებებისთვის ვისთან, რომელ ჯგუფებთან დიალოგის დაწყება, გააქტიურება და გაღრმავებაა მნიშვნელოვანი?




კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესში თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევა დიალოგი, როგორც 1. საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობებს შორის, ასევე დიალოგი 2. აფხაზ, ოს და ქართველ სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებს, 3. აფხაზ, ოს და ქართველ ქალ სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებსა და აქტივისტებს

და 4. აფხაზი, ოსი და ქართველი საზოგადოებების ფართო მასებს შორის (დიაგრამა 5.6). გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა აღნიშნულ ჯგუფებს შორის დიალოგს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს (78-82%). რესპონდენტების საშუალოდ ორ მესამედს კი, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში, ზოგადად, დიალოგი მიაჩნია აუცილებლად (63-64%).

დიაგრამა 5.6

გთხოვთ, დახედოთ ბარათზე მოცემულ დებულებებს და შეაფასოთ, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია პირდაპირი დიალოგი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფ მთავრობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებს შორის, აფხაზ, ოს და ქართველ სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებსა და საზოგადოების ფართო მასებს შორის?



მთლიანობაში, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვანია მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა. ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევა იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდებისა და ქალების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობების, მედიის, საზოგადოების ფართო მასების და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობაც.

8.3 იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში

ამ ქვეთავში განხილულია კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობა და მომავალში დაგეგმილ აქტივობებში კვლევის მონაწილეთა ჩართვის სურვილი. ასევე, მოყვანილია ის ხელის შემშლელ ფაქტორები, რომლებიც იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის კონფლიქტის


ტრანსფორმაციის პროცესში ჩართვის ბარიერს წარმოადგენს. ამ თავში განხილულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, ზოგიერთი საკითხი განხილული იყო ასევე ფოკუს-ჯგუფებშიც.

გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი ფიქრობს, რომ დევნილი ქალები ჩართული არიან კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში (დიაგრამა 5.7), თუმცა, თავად მათი უმრავლესობა (95%) ამ პროცესებში არასდროს ჩართულა (დიაგრამა 5.8). გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების მხოლოდ 3% აღნიშნავს,

რომ როდისღაც ყოფილა ჩართული პროექტებში, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებსა და მშვიდობის მშენებლობას შეეხებოდა (დიაგრამა 5.8), ან ყოფილა ჩართული ქართულ აფხაზურ ან ქართულ-ოსურ დიალოგებში/შეხვედრებში (დიაგრამა 5.9) და ან მიუღია მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმისთვის მოსამზადებელ სამუშაო ან საინფორმაციო შეხვედრაში (დიაგრამა 5.10).


დიაგრამა 5.7

თქვენი აზრით, არიან თუ არა დღეს იძულებით გადაადგილებული ქალები ჩართულები კონფლიქტის ტრანსფორმაციის (პოზიტიური ცვლილების) პროცესში?




დიაგრამა 5.8

პირადად თქვენ ყოფილხართ თუ არა ჩართული პროექტებში, რომლებიც კონფლიქტურ რეგიონებსა და მშვიდობის მშენებლობას შეეხებოდა?




დიაგრამა 5.9

პირადად თქვენ ყოფილხართ თუ არა ჩართული ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგებში / შეხვედრებში?



დიაგრამა 5.10

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმისთვის მოსამზადებელ სამუშაო ან საინფორმაციო შეხვედრაში?




კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში დაბალი ჩართულობის მიუხედავად, იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედზე მეტს აქვს სურვილი, ჩაერთოს ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგში/შეხვედრებში (დიაგრამა 5.11). გამოკითხულთა 11% აცხადებს, რომ ასეთი შეხვედრების დაგეგმვის შემთხვევაში აუცილებლად

მიიღებდა მონაწილეობას, ხოლო 28%-ს შესაძლებელია, მიეღო მონაწილეობა. ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგში/შეხვედრებში მონაწილეობის სურვილი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდა (18-29 წლის) იძულებით გადაადგილებულ ქალებში (18% აუცილებლად მიიღებდა, ხოლო 43%-ს შესაძლებელია მიეღო მონაწილეობა).

დიაგრამა 5.11

რამდენად სავარაუდოა, რომ მომავალში მიიღოთ მონაწილეობა ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგში/შეხვედრებში ასეთი შეხვედრების დაგეგმვის შემთხვევაში - აუცილებლად მიიღებთ, შესაძლოა მიიღოთ, ნაკლებად სავარაუდოა, თუ არ მიიღებთ?



რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა თქმით, იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესებში ჩართვის მნიშვნელოვანი ბარიერია იმედის არქონა, რომ აქტივობები შედეგს გამოიღებს (53%) (დიაგრამა 5.12). როგორც უკვე ითქვა, თვისებრივ კვლევაში მონაწილე ქალები ხშირად აღნიშნავენ, რომ კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს ხშირად არ აქვს რეალური შედეგი. გარდა ამისა, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის ერთადერთ გზად ხშირად რუსეთის პოლიტიკის შეცვლას მოიაზრებენ. თუმცა არ აქვთ იმედი, რომ რუსული ხელისუფლება დათმობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს, რის გამოც, განხორციელებული აქტივობები ნაკლებად მიაჩნიათ გადამწყვეტი შედეგის მომტანად.

იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ჩასართავად მნიშვნელოვანი ბარიერი ინფორმაციის არქონაა (დიაგრამა 5.12). კვლევის მონაწილეთა ნახევარი აღნიშნავდა, რომ იძულებით გადაადგილებული ქალები განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას

მიმდინარე პროცესებისა თუ პროექტების შესახებ, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობას შეეხება (50%), ასევე, ცოდნის ნაკლებობას, თუ რა ტიპის აქტივობა დაეხმარება კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობას (46%).

გამოკითხულთა მესამედს მიაჩნია, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართვისთვის ბარიერს წარმოადგენს საფრთხის შეგრძნება აფხაზებთან და ოსებთან პროექტებში მონაწილეობისას (33%) (დიაგრამა 5.12). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები აღნიშნავენ, რომ დაცული უნდა იყოს ამ პროცესების, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი და ოსი მონაწილეების უსაფრთხოება. რესპონდენტთა შორის, უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, სანდოდ საერთაშორისო ორგანიზაციები აღიქმება.


კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ჩართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი ფინანსური რესურსის ნაკლებობაა სხვადასხვა აქტივობების

ორგანიზებისთვის ან მათში ჩასართავად (33%) (დიაგრამა 5.12). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალების თქმით, როდესაც თავად ფინანსურად უჭირთ, რთულია ჩაერთონ სხვადასხვა ტრენინგებში და პროექტებში, თუ არ იქნება ფინანსური ნახალისება, მათ შორის შეხვედრების მონაწილეთათვის კვების უზრუნველყოფა და მგზავრობის თანხების ანაზღაურება.

რაოდენობრივი კვლევის თანახმად, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების ჩართულობას გენდერული სტერეოტიპებიც უშლის ხელს. კვლევის მონაწილეთა აზრით, იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ აზრს იშვიათად ეკითხებიან (28%) და მათ იდეებსა და მოსაზრებებს სერიოზულად ნაკლებად აღიქვამენ (25%) (დიაგრამა 5.12).

დიაგრამა 5.12

თქვენი აზრით, რა ბარიერებს აწყდებიან იძულებით გადაადგილებული ქალები კონფლიქტის ტრანსფორმაციის (პოზიტიური ცვლილების) პროცესში ჩასართავად?



კვლევის თანახმად, მთავარი ხელშეწყობა, რაც იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართვისთვის


სჭირდებათ, ფინანსური მხარდაჭერა (47%), არსებული პროცესებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (46%) და მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა

და მათი მხარდამჭერი პროექტების შესახებ ცოდნის გაზრდა (34%). გარდა ამისა, მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, მედიაციაზე, მოლაპარაკებებსა და სხვა

თემატიკაზე ქალების ცნობიერების ამაღლება, უნარ-ჩვევების შექმნა და გადამზადება (28%) (დიაგრამა 5.13).

დიაგრამა 5.13

გთხოვთ, დახედეთ ბარათს და მითხარით, რა ხელშეწყობა ან რესურსი სჭირდებათ იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ჩასართავად.



შეჯამებისთვის, იძულებით გადაადგილებულ ქალებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა (18-29 წლის) ქალებს, აქვთ ქართულ-აფხაზურ და/ან ქართულ-ოსურ დიალოგში ჩართვის სურვილი, თუმცა, მათი უმრავლესობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესებში ან რაიმე ტიპის შეხვედრებში/დიალოგში ჩართული არასდროს ყოფილა. კვლევის ფარგლებში, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობის მრავალი ბარიერი გამოიკვეთა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია იმედის არქონა/იმედის ნაკლებობა, რომ აქტივობები შედეგს გამოიღებს,

კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებსა და აქტივობებზე ცოდნისა და ინფორმაციის სიმცირე ან არარსებობა, უსაფრთხოების საკითხი, ფინანსური რესურსის ნაკლებობა და ქალების მიმართ არსებული გენდერული სტერეოტიპები. მთავარი ხელშეწყობა კი, რაც იძულებით გადაადგილებულ ქალებს კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართვისთვის სჭირდებათ, პროექტებისა და პროცესების შესახებ ინფორმაციის ფართოდ მიწოდება და ფინანსური მხარდაჭერაა.

◆ 9 ◆ კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობი აქტივობები და მათში მონაწილეობისადმი განწყობა

ამ თავში განხილულია იძულებით გადაადგილებული ქალების შეხედულებები და იდეები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრასთან დაკავშირებით და მათი განწყობა, ჩაერთონ კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის დაგეგმილ აქტივობებში. დამატებით განხილულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, ზოგიერთი საკითხი ასევე განხილული იყო ფოკუს-ჯგუფებშიც.


კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა ფიქრობს, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია აუცილებლად მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს (87%), მათ შორის, კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე სოფლად მცხოვრები და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული ქალების სრული

უმრავლესობაა (97%). ნებისმიერი გზით, თუნდაც, სამხედრო გზით, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების მომხრე კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 2%-ია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საშუალოდ 10-დან 1 რესპონდენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა (დიაგრამა 6.1).

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, კონფლიქტებით დაზარალებულ მოსახლეობას დღემდე აქვს ომის ტრავმები და შიში, რომ კონფლიქტი, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს. კვლევაში მონაწილე ქალების აზრით, შეიარაღებული კონფლიქტი თანაბრად აზარალებს როგორც ქართველ, ისე აფხაზ და ოს მოსახლეობას. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ქალების უმრავლესობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა.

დიაგრამა 6.1

გთხოვთ, წაიკითხოთ ბარათზე მოცემული დებულებები და შემოხაზოთ ის მოსაზრება, რომელსაც უფრო მეტად ეთანხმებით.



რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ ოსური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას ყველაზე მეტად

ახალგაზრდა თაობების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების დამეგობრება (55%) და აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიმოსვლის გამარტივება შეუწყობს ხელს

(53%). აღსანიშნავია, რომ მიმოსვლის გამარტივება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები და 2008 წლის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალებისთვის (75% და 72%, შესაბამისად) (დიაგრამა 6.2).

გარდა ამისა, ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა აფხაზი, ოსი და ქართველი მოსახლეობისთვის ერთმანეთის ყოველდღიურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (41%) (დიაგრამა 6.2). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები აღნიშნავენ, რომ სურთ მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია ცხოვრება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ნახონ, როგორ ცხოვრობს იქაური მოსახლეობა, მათ შორის ახალგაზრდები, შეძლონ ნაცნობი ადგილების, თუნდაც, ონლაინ სივრცეში დათვალიერება. თუმცა, კვლევის მონაწილეების თქმით, დღეს ასეთი ტიპის ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, ერთმანეთის ცხოვრების შესახებ მეტის გაგება ხელს შეუწყობს „მტრის ხატის“ დანგრევას და შეძლებს მოსახლეობის დაახლოებას. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, მოსახლეობის ყოველდღიურობის შესახებ ინფორმაციის გარდა, გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ ქალებს მნიშვნელოვნად მიაჩნდათ ერთმანეთის ტრადიციისა და კულტურის გაცნობაც (21%) (დიაგრამა 6.2).

გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები აღნიშნავენ, რომ ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან ურთიერთობებს ხელს უწყობდა ერგნეთის ბაზარი, რომლის გაუქმებამაც ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედა. მთლიანობაში, იძულებით გადაადგილებული ქალების მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა (37%) ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას. ამ აზრს

განსაკუთრებით იზიარებენ სოფლად მცხოვრები და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალები (66% და 63%, შესაბამისად) (დიაგრამა 6.2).

კვლევის მონაწილეებს მნიშვნელოვნად მიაჩნდათ სოციალური პროექტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მხარდასაჭერად (30%) (დიაგრამა 6.2). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ქალები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ასეთი ტიპის დახმარებას თავად მოსახლეობამ გაუწიოს ორგანიზება, როგორც, მაგალითად, ეს ხდებოდა უკრაინის ომში დაზარალებულთა დასახმარებლად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, რაც იძულებით გადაადგილებული ქალების აღქმით ხელს შეუწყობს კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას - აფხაზებისა და ოსების მოთხოვნების და საჭიროებების კვლევაა (28%). ამ აზრს ყველაზე მეტად ახალგაზრდა (18-29 წლის) ქალები იზიარებენ (33%) (დიაგრამა 6.2). ფოკუს-ჯგუფებში აღინიშნა, რომ გამოკითხვების შედეგად უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, როგორია აფხაზი და ოსი მოსახლეობის განწყობები, მეორე მხრივ, მათი საჭიროებები და მოთხოვნები, რაც შესაძლებლობას მისცემს ქართულ მხარეს, შესაბამისად დაგეგმოს საპასუხო პოლიტიკა და პროგრამები.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, მნიშვნელოვანია მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების ჩართულობის გაძლიერება (23%) (დიაგრამა 6.2). ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ქალები ყოველთვის მშვიდობას ემხრობიან, ფიქრობენ თავიანთ შვილებზე და ყველა გზით ეცდებიან, ნაკლები აგრესია და დაპირისპირება იყოს კონფლიქტში ჩართულთა შორის. გარდა ამისა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ ქალებს აქვთ რესურსი, თავიანთი ოჯახის წევრების (შვილი, მეუღლე) განწყობების ცვლილებასაც შეუწყონ ხელი.


99 მნიშვნელოვანია, რომ ქალები და მათ შორის დედები, მნიშვნელოვანი პროცესების სათავეში იყვნენ. დედა კონფლიქტს ნაკლებად დაუჭერს მხარს და მშვიდობიანი მოგვარების მომხრე იქნება, რადგან მისთვის პრიორიტეტი შვილების კეთილდღეობაა. თორემ ვაცების წარმართულ საქმეებს ვხედავთ“

[იძულებით გადაადგილებული ქალი, 18-29 წლის, ქუთაისი].

როგორც აღვნიშნეთ, იძულებით გადაადგილებული ქალები მნიშვნელოვან პრობლემას ხედავენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ახალგაზრდებისთვის მიწოდებულ ინფორმაციაშიც, სადაც, მათი აზრით, „დამახინჯებულ“ ისტორიას ასწავლიან და ახალ თაობას ქართველების სიძულვილს უნერგავენ. შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია კონფლიქტის ისტორიის ღრმა ანალიზი და სწავლება (26%); ასევე, სამშვიდობო განათლება სასკოლო და საუნივერსიტეტო დონეზე (18%) (დიაგრამა 6.2).

დიაგრამა 6.2

გთხოვთ, დახედეთ ბარათს და მიპასუხეთ, ზოგადად, რომელი საქმიანობები შეუწყობს ხელს ქართულ-აფხაზური და/ან ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციას.



კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები გამოხატავენ ინტერესს, ჩაერთონ აფხაზი, ოსი და ქართველი მოსახლეობის შერიგებისა და კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაციისთვის დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში. აქტივობებში ჩართვის განწყობა განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდა (18-29 წლის) იძულებით გადაადგილებულ ქალებში (დიაგრამა 6.3). უნდა აღინიშნოს, რომ დიაგრამა 12.3-ში ჩამოთვლილი აქტივობები თავად იძულებით გადაადგილებული ქალების მიერ იყო შემოთავაზებული ფოკუს-ჯგუფების მსვლელობისას.

კვლევა გვიჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებული ქალები ყველაზე მეტად პირისპირ შეხვედრებში ჩართვის მზაობას ავლენენ. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 43% აღნიშნავს, რომ მზადაა ჩაერთოს პირისპირ შეხვედრებში, სადაც აფხაზი, ოსი და იძულებით გადაადგილებული ქალები არაფორმალურ გარემოში შეხვედრიან ერთმანეთს და გაუზიარებენ გამოცდილებას. ხუთიდან ერთი იძულებით გადაადგილებული ქალი აღნიშნავდა, რომ ასევე ჩაერთვება სხვადასხვა პროექტში, რომლებიც საერთო იდეის გარშემო გააერთიანებს აფხაზ, ოს და იძულებით გადაადგილებულ ქალებს, მაგალითად, დედებს, რომლებსაც სურთ შვილებისთვის მშვიდობიანი მომავალი და განვითარება (22%) (დიაგრამა 6.3).


ერთმანეთის ტრადიციისა და კულტურის გაცნობისთვის, ქალების აზრით, უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა ტურები, შესაძლებელი იყოს აფხაზი, ოსი

და ქართველი მოსახლეობის კონცერტზე ან სხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება. კვლევაში მონაწილე ქალების მეოთხედი აღნიშნავდა, რომ თავადაც ჩაერთვებოდა ასეთი ტიპის ღონისძიებებში (25% და 24%, შესაბამისად) (დიაგრამა 6.3). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალები ხაზს უსვამდნენ უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას ნებისმიერი ტიპის შეხვედრების შემთხვევაში, იქნება ეს პირისპირ შეხვედრები აფხაზ და ოს მოსახლეობასთან, გაცვლითი პროგრამები ახალგაზრდებისთვის თუ ტურებში მონაწილეობა და კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა ნაწილი ასევე გამოთქვამდა სურვილს, ჩაერთოს სოციალურად დაუცველი აფხაზი, ოსი და გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები საზოგადოების მატერიალური მხარდაჭერის (მაგ., სოციალურ კამპანიებში, ნივთებით, საკვებით დახმარების) აქტივობებში (23%), ახალგაზრდებისათვის ტრენინგებსა და სემინარებში (19%), სოციალურ ქსელში დაგეგმილ კამპანიებში (Facebook, Instagram, Tiktok), რომელთა მიზანი ერთმანეთზე ინფორმაციის გაგება იქნება (17%), გაცვლითი ბანაკებში სკოლის მოსწავლეებისთვის (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში) (10%) (დიაგრამა 6.3).

დიაგრამა 6.3

ბარათზე მოცემულია სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის (პოზიტიური ცვლილებებისთვის). გთხოვთ, მითხრათ, რომელ აქტივობაში ჩაერთვებოდით პირადად თქვენ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის.



შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების სრული უმრავლესობა ემხრობა კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციას, ვინაიდან ეს ქალები ფიქრობენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტი თანაბრად აზარალებს კონფლიქტის ყველა მონაწილეს. იძულებით გადაადგილებული ქალების თქმით, კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციას ისეთი აქტივობები შეუწყობს ხელს, როგორცაა ახალგაზრდა თაობების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების დამეგობრება,

კონფლიქტის ისტორიის ღრმა ანალიზი და სწავლება და სამშვიდობო განათლება სასკოლო და საუნივერსიტეტო დონეზე, მოსახლეობისთვის ერთმანეთის ცხოვრებასა და ყოველდღიურობაზე მეტი ინფორმაციის მიწოდება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიმოსვლის გამარტივება და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. თავად კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებულ ქალებში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ქალებში (18-29 წლის) მაღალია განწყობა, ჩაერთონ პირისპირ

შეხვედრებში, სადაც აფხაზი, ოსი და იძულებით გადაადგილებული ქალები არაფორმალურ გარემოში შეხვდებიან და ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას; ასევე, ჩაერთონ სხვადასხვა

კულტურულ ღონისძიებებში, სადაც შეძლებენ ერთმანეთის კულტურისა და ისტორიის გაცნობას, ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ ტრენინგებსა და სემინარებში და სხვა.

◆10◆ უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე

ამ თავში განხილულია გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე უკრაინაში არსებული ომის კონტექსტთან და მის გავლენასთან დაკავშირებით. ამ თავში ასევე, შესულია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, თუმცა ზოგიერთ ადგილას მოყვანილია დამატებითი ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფებიდან.


რაოდენობრივი კვლევით გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალები უფრო მეტად ემხრობოდნენ აზრს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი ახალ შესაძლებლობას ქმნის ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად (43%), ვიდრე მოსაზრებას, რომ ეს ომი საფრთხეს წარმოადგენს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის (16%) (დიაგრამა 7.1). კვლევის მონაწილეთა

17% ფიქრობს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საკითხის მშვიდობიან გადაჭრაზე გავლენას არ ახდენს, 23%-ს კი ამ საკითხზე მოსაზრება ჩამოყალიბებული არ აქვს (დიაგრამა 7.1).

ჯამურად, იძულებით გადაადგილებული ქალების 74% ეთანხმება აზრს, რომ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა მოიგებს ომს, რუსეთი დასუსტდება და საქართველოსთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა გაჩნდება. მათ შორის, 30% ამ მოსაზრებას სრულად ეთანხმება, 44% კი მეტ-ნაკლებად (დიაგრამა 7.2). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური გაჭიანურებული კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი აქტორი რუსეთია და მისი დასუსტება საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობას გააჩენს.


დიაგრამა 7.1

თქვენი აზრით, უკრაინაში მიმდინარე ომი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრისთვის წარმოადგენს ახალ შესაძლებლობას, წარმოადგენს საფრთხეს, თუ ამ ომს არ აქვს გავლენა?



დიაგრამა 7.2

იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა მოიგებს, რუსეთი დასუსტდება და საქართველოსთვის განრდება კონფლიქტის ტრანსფორმაციის (პოზიტიური ცვლილების) შესაძლებლობები.




თუმცა, მეორე მხრივ, რეგიონში არსებული ომი იძულებით გადაადგილებულ ქალებში იწვევს შიშს, რომ შესაძლოა, საქართველოშიც დაიწყოს ახალი კონფლიქტი ან გამწვავდეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები. ჯამურად, კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების ორი მესამედი სრულად

ან მეტ-ნაკლებად ეთანხმება აზრს, რომ უკრაინაში არსებული ომი საფრთხეს უქმნის საქართველოსაც და შესაძლებელია, ომი საქართველოშიც დაიწყოს (64%), მათ შორის, ამ აზრს სრულად ეთანხმება რესპონდენტების 25%, მეტ-ნაკლებად ეთანხმება 39% (დიაგრამა 7.3).

დიაგრამა 7.3

უკრაინაში არსებული ომი საფრთხეს უქმნის საქართველოსაც / შეიძლება აქაც დაიწყოს ომი



თომ შევაჯამოთ, გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების ნაწილი ფიქრობს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი ახალ შესაძლებლობას ქმნის ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური გაჭიანურებული კონფლიქტების

მშვიდობიანი გზით გადაჭრისთვის. კვლევის მონაწილეების თქმით, ეს შესაძლებლობა განრდება იმ შემთხვევაში, თუ უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად რუსეთი დასუსტდება.

◆11◆ გალსა და ახალგორში ჩატარებული თვისებრივი კვლევის ძირითადი მიზნებები

მომდევნო ქვეთავებში წარმოდგენილია გალში და ახალგორში მცხოვრები ქალების გამოწვევები, ურთიერთობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან, დამოკიდებულებები კონფლიქტის ტრანსფორმაციის და მშვიდობის მშენებლობის მიმართ და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესებში ქალების ჩართულობის საკითხი. ეს ნაწილი ეფუძნება თვისებრივი კვლევის ფარგლებში გალსა და ახალგორში მცხოვრებ ქალებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს.

11.1. გალში და ახალგორში მცხოვრები ქალების გამოწვევები

კვლევის თანახმად, მთავარი გამოწვევები გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალებისთვის მსგავსია და ეკონომიკურ სიდუხჭირეს, უმუშევრობას და რეგიონში განვითარების შესაძლებლობის ნაკლებობას უკავშირდება. წინამდებარე ცხრილ 3-ში მოცემულია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც კვლევაში მონაწილე ქალების მიერ იყო იდენტიფიცირებული.


ცხრილი 3

გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების გამოწვევები

გალში მცხოვრები ქალების გამოწვევები



- ეკონომიკური სიდუხჭირე
- ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა
- არასტაბილურობის შეგრძნება და ახალი კონფლიქტის შიში
- რაიონში შიდა ტრანსპორტის პრობლემა
- ახალგაზრდებისთვის განვითარების ნაკლები შესაძლებლობა, რის გამოც, ახალგაზრდები საცხოვრებელი ადგილის დატოვებას და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლას ან საზღვარგარეთ თავის დამკვიდრებას ცდილობენ
- ჯანდაცვის პრობლემები (სერვისის მიღების სირთულე, მაღალი ფასები მედიკამენტებზე)
- საბუთებთან დაკავშირებული პრობლემები (გალის მცხოვრებლებს აქვთ მხოლოდ ბინადრობის მონშობა)
- საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები და უთანასწორობა
- ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობის პრობლემა
- ნაადრევი ქორწინებები



- ეკონომიკური სიდუხჭირე
- უმუშევრობა და სამსახურის პოვნის სირთულე (ახალგორში მცხოვრები ქალები ფიქრობენ, რომ მეტი შანსი აქვთ სამუშაო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, მაგალითად, წეროვანში იპოვონ, მაგრამ, ბარიერია წეროვანში თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა)
- ახალგაზრდებისთვის განვითარების ნაკლები შესაძლებლობა
- გადაადგილების შეზღუდვა, რის გამოც მოსახლეობა ვერ ახერხებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (ძირითადად წეროვანში) მყოფი ახლობლების/ნათესავების მონახულებას
- თავისუფლების შეზღუდვა და მუდმივად კონტროლის ქვეშ ყოფნის შეგრძნება
- რაიონის შიდა ტრანსპორტის პრობლემა
- ტრანსპორტის პრობლემა ახალგორიდან წეროვანში (იმ დღეებშიც, როდესაც ნებადართულია, უჭირთ გადაადგილება ტრანსპორტის სიმციროს გამო)
- ჯანდაცვის პრობლემები (სამედიცინო სერვისების სიმცირე ან არარსებობა)
- მაღალი ფასები, მათ შორის, მედიკამენტებზე, ბავშვის მოვლის და ქალის ჰიგიენის საშუალებებზე

11.2. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან კონტაქტი

გალსა და ახალგორში რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ გამყოფი ხაზის მიღმა დარჩენილ მოსახლეობასთან კვლავ აქვს ურთიერთობა. ძირითად შემთხვევაში, გალსა და ახალგორში მცხოვრებ ქალებს ჰქონდათ კონტაქტი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან ან მეგობრებთან.

ახალგორში გამოკითხული ქალებს ნაცნობები ძირითადად წეროვანში ჰყავთ. ფიქრობენ, რომ წეროვანში განვითარების მეტი შესაძლებლობაა, მათ შორის, ახალგაზრდებისთვისაც. ნაწილი გამოთქვამდა სურვილს, რომ წეროვანში

უფრო თავისუფლად გადაადგილების საშუალება ჰქონოდათ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ წეროვანში თავისუფლად გადასვლის შემთხვევაში იოლად იპოვიდა სამუშაოს, რადგან იქ დასაქმების მეტი შესაძლებლობაა.

„წეროვანში ხალხს ნაკლებად უჭირს, ასე თუ ისე არის სამსახურები იქ, გზა რომ მუდმივად ღია იყოს, ამათ კი აღარ დავუწყებდი ხვეწნას, წეროვანში ვიპოვიდი რამეს და ყოველდღე აქედან ვივლიდი სამუშაოზე“.

[48 წლის ქალი, ახალგორი].

კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრებ ახლობლებთან ურთიერთობას ძირითადად სოციალური ქსელით ინარჩუნებენ. იშვიათ შემთხვევაში ფიზიკურად ნახვასაც ახერხებენ.

ზოგადად სიახლეების, მათ შორის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც ტელევიზიის, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით (Facebook, Instagram, Telegram). გალსა და ახალგორში მყოფი ქალებისთვის ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნაცნობ-მეგობრებიც, იციან, რომ მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ ერთმანეთისგანაც გაიგებენ.

11.3. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების დამოკიდებულებები უკრაინაში მიმდინარე ომსა და მის გავლენაზე ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე

გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების აზრით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თვალსაზრისით, ბოლო ათწლეულში პოზიტიური ცვლილებები არ მომხდარა, რაც თავისთავად საფრთხის შემცველია, რადგან გაჭიანურებული კონფლიქტი მოსახლეობას მუდმივად ახალი შეიარაღებული კონფლიქტის შიშში ამყოფებს.

გალში მცხოვრები ქალების თქმით, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ქართველი და აფხაზი მოსახლეობის პერიგების პერსპექტივა შემცირდა, ვინაიდან, აფხაზებს საფრთხის შეგრძნება გაუჩნდათ, რომ შესაძლოა ქართველებმა ისარგებლონ შექმნილი ვითარებით და აფხაზეთის ძალის გამოყენებით დაბრუნება სცადონ. მათი თქმით, ამის გამო ურთიერთობა დაიძაბა გალში მცხოვრებ ქართველებთანაც.

„აქ [აფხაზეთში] სხვათა შორის, გაჩნდა სერიოზული შიშის განცდა, რომ ქართველები ისარგებლებდნენ მდგომარეობით და ომს დაიწყებდნენ, ამის გამო დაიძაბა სიტუაცია, აქ მცხოვრებ ქართველებს ბოლომდე მაინც არ ენდობიან და ეჭვის თვალთ გვიყურებდნენ“.

[47 წლის ქალი, გალი 2].

„უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ძალიან გამწვავდა აქაც [აფხაზეთში] სიტუაცია, ადამიანებს ეშინიათ კონფლიქტის გამწვავების, ომის. ეს თანაბრად ეხება როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს. ომის შედეგები საზარელია ყველასთვის“.

[27 წლის ქალი, გალის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიხაზურგა].

ახალგორში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილეთა ნაწილმა არ ისურვა, ესაუბრა უკრაინაში მიმდინარე ომსა და მის გავლენაზე ქართულ-ოსურ კონფლიქტზე. რესპონდენტების თქმით, მათ ზოგადად ეშინიათ ამ საკითხზე საუბრის და ცდილობენ, არ ილაპარაკონ არა მხოლოდ კვლევის ფარგლებში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც, თავიანთ ნაცნობებსა თუ თანამშრომლებთანაც არ გამოთქვან საკუთარი დამოკიდებულება.

”არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი. თუ შეიძლება რომ არა ვთქვა უკრაინაზე არაფერი. ვერ ვიტყვი გულწრფელად ვერაფერს, არ გენყინოთ“.

[23 წლის ქალი, ახალგორი].

”საერთოდ ვცდილობ, რომ არ ვილაპარაკო ამ საკითხზე. სამსახურშიც არის ხოლმე ლაპარაკი და არ ვერთვები არასდროს. ჩემ ქმარსაც ვაფრთხილებ რომ არ ილაპარაკოს არც გარეთ, არც სახლში“.

[29 წლის ქალი, ახალგორი].

გალსა და ახალგორში მყოფი ქალები, უკრაინაში არსებული ომის ფონზე, ნაკლებად ხედავენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს და უფრო მეტად საფრთხის, ვითარების გამწვავების და ახალი კონფლიქტის შიში აქვთ. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ვინაიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის გავლენები ძალიან დიდია, ვითარება კიდევ დიდხანს არ შეიცვლება.

11.4. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების მოსაზრებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ

ქალებს, რომლებიც სიღრმისეული ინტერვიუების ფარგლებში გამოიკითხნენ როგორც გალში, ასევე ახალგორში, განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხების შესახებ. კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილს ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია ამ

საკითხების შესახებ, ერთეულ შემთხვევაში გამოკითხულ ქალებს მიუღიათ მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ შეხვედრებში ან ტრენინგში. თუმცა, კვლევის მონაწილეთა ძირითადმა ნაწილმა, განსაკუთრებით ახალგორში, აღნიშნა, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს ან საერთოდ არაფერი სმენია. შესაბამისად, რესპონდენტების ნაწილს გაუჭირდა ესაუბრა ამ საკითხზე.

”არ გამიგია და მეშინია, შეცდომით არ ვთქვა რამე. ალბათ, ამ კონფლიქტში რაღაცის სასიკეთოდ შეცვლის იდეას ნიშნავს. კონფლიქტი შეიძლება დარჩეს, მაგრამ უკეთესად შეიცვალოს რამე. მგონი, ეს იქნება“.

[23 წლის ქალი, ახალგორი].

”არა, არა მსმენია, რას ნიშნავს, არ ვიცი. მე ეგეთი რაღაცებისგან შორს ვარ. ჩემზე არ არის კონფლიქტის მოგვარება“.

[29 წლის ქალი, ახალგორი].

გალსა და ახალგორში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილე ქალების თქმით, ზოგადად ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია როგორც მთავრობის, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და საზოგადოების ჩართულობა. თუმცა ნაკლებად ხედავენ საზოგადოების ან კონკრეტულად ქალების როლს და, მათი აზრით, პირველ რიგში პოლიტიკური ელიტის ჩართულობაა მნიშვნელოვანი. როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ

კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალები, ასევე გალსა და ახალგორში გამოკითხული ქალებიც, დისკუსიის მსვლელობისას ხშირად ახსენებდნენ, რომ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტში მთავარი აქტორი სწორედ რუსეთია და ზოგიერთ შემთხვევაში, არც დე ფაქტო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და არც საქართველოს მთავრობას მიიჩნევდნენ გადამწყვეტ როლად კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში.

“ყველა აქ ჩამოთვლილი მხარის ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო, მაგრამ, პირველ რიგში, ის, ვის ხელშიც არის ძალაუფლება, ისინი [აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობები] არიან ამის წინააღმდეგი, იმიტომ, რომ ისინიც სხვა სახელმწიფოზე არიან დამოკიდებული, რომელიც კარნახობს რა გააკეთოს“.

[47 წლის ქალი, გალი].

“როგორც წელან ვთქვი, მთავრობებმა უნდა ილაპარაკონ, ხალხმა - არა მგონია. ახლა აბა მე რომ ვინმე თბილისელთან დამსვა, რაზე უნდა ველაპარაკო? კონფლიქტზე? ჩვენ რა უნდა გადავწყვიტოთ? ეს მთავრობების საკითხია“.

[22 წლის ქალი, ახალგორი].

კვლევის მონაწილეების თქმით, დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად რუსეთიდან მიღებული ინფორმაცია ვრცელდება და სხვა ინფორმაციაც ანალოგიურად უნდა გავრცელდეს, რომ

მხოლოდ ერთ მხარეს არ ჰქონდეს საინფორმაციო სივრცეზე მონოპოლია. ამისთვის, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის ჩართულობა.

კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ პროექტებს ძირითადად, საქართველოს მთავრობა ან არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. თუმცა, აღნიშნავდნენ, რომ, როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის დე ფაქტო მთავრობები ასეთი აქტივობების წინააღმდეგია და ზღუდავს, როგორც ინფორმაციის გავრცელებას, ასევე პროექტების განხორციელებას და/ან პროგრამებში მოსახლეობის ჩართულობას. რესპონდენტების თქმით, წინა წლებში ამ მიმართულებით მეტი აქტიურობა იყო, თუმცა დღეის მდგომარეობით პროექტები თითქმის აღარ ხორციელდება, რასაც კვლევაში მონაწილე ქალები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსეთის გავლენის ზრდას უკავშირებენ.

გალში მცხოვრებმა ქალებმა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებთან დაკავშირებით გაიხსენეს:

- ▶ აფხაზი და ქართველი ექიმების პროგრამა, რომელიც კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ ცალსახად პოზიტიურად შეაფასა და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში ქართველ და აფხაზ ექიმებს შორის პოზიტიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. რესპონდენტის აზრით, პროფესიულ ჯგუფებს შორის შეხვედრები ხელს უწყობს ურთიერთობების აღდგენასა და ჩამოყალიბებას და, ასევე, ეხმარება გამოცდილებისა და ექსპერტიზის გაზიარებას.
- ▶ კულტურული პროექტები, მათ შორის, ფოტოგამოფენა ახალგაზრდების ჩართულობით, ფილმის გადაღება.
- ▶ ბერგჰოფის ფონდის პროგრამა.

“მეც ვიყავი ჩართული მაგალითად, აფხაზი და ქართველი ექიმების პროგრამაში, პანდემიის დროს ქართველმა ექიმებმა ჩაგვიტარეს რამდენიმე ონლაინ შეხვედრა და მოგვანოდეს უახლესი ინფორმაცია კოვიდის მართვაზე, სოხუმელი ექიმებიც იყვნენ ჩართული. შემდეგ გვქონდა შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ძალიან კარგი პროგრამა იყო, კარგი შეხვედრა, აფხაზი და ქართველი ექიმები თავისუფლად ურთიერთობდნენ, იყო ძალიან ბევრი კარგი იდეა, თანამშრომლობის მზადყოფნა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მოსწონს ასეთი შეხვედრები აქ [დე ფაქტო] მთავრობას და გვინებსენ სერიოზულ შეზღუდვებს, პირდაპირ კრძალავენ ასეთ ურთიერთობებს. არადა, ექიმებს ძალიან გვჭირდება გამოცდილების გაზიარება. რამდენად წინ არის მედიცინა იქ [საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე], ამას ხედავენ აქაური ექიმები და ძალიან უნდათ თანამშრომლობა, მაგრამ არ აძლევენ ამის შესაძლებლობას“.

[47 წლის ქალი, გალი].

ახალგორში მცხოვრებმა ქალებმა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებთან დაკავშირებით გაიხსენეს შემდეგი პროექტები:

- ▶ უფასო სამედიცინო პროგრამა, რომლის შესახებაც თითქმის ყველა რესპონდენტს ჰქონდა ინფორმაცია.
- ▶ გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში ჩაბარება.
- ▶ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები ერგნეთში და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები,

თუმცა, ეს მოლაპარაკებები მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა ახსენა.

- ▶ კონფლიქტის ტრანსფორმაციის თემატიკაზე აფხაზი, ოსი და ქართველი ახალგაზრდებისთვის უცხოეთში ჩატარებული ტრენინგები (ტრენინგებიც მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა ახსენა და გაუჭირდა მეტი ინფორმაციის მონოდება).

“ვიცი, რომ ქვევით [თბილისში] მიჰყავთ სამკურნალოდ. მე ავარიაში მოვყვევი აქ და თბილისში წამიყვანეს საოპერაციოდ.“

[22 წლის ქალი, ახალგორი].

“მე ახლა, წელს რომ ვაბარებ უნივერსიტეტში, გამოცდებს არ ვაბარებ, სადაც მინდა ფაკულტეტი და უნივერსიტეტი, იქ ვისწავლი, ამ პროგრამის დამსახურებაა.“

[18 წლის ქალი, ახალგორი].

11.5. გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალების დამოკიდებულებები კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების ჩართულობასთან დაკავშირებით

გალსა და ახალგორში მცხოვრებ ქალებს მიაჩნიათ, რომ ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ გადანყვეტილების მიღების პროცესში არ იყოს გამორჩენილი ის პრობლემები თუ საჭიროებები, რომლებიც მხოლოდ ქალის პერსპექტივიდან ჩანს.

რესპონდენტების თქმით, კონკრეტულად გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალები ამ მხრივ მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ. გალში მცხოვრებ ქალებს ურთიერთობა აქვთ, როგორც აფხაზ მოსახლეობასთან (უნივერსიტეტში, სამსახურში), ასევე, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან და, ზოგადად, მოსახლეობასთან. კვლევის მონაწილეების ინფორმაციით, აფხაზეთში მცხოვრები ქალები ხშირად მცირე მენარმეობით/მცირე ბიზნესით არიან დაკავებული და შესაძლებელია, საერთო პროექტები ამ მიმართულებითაც დაიგეგმოს. ახალგორში მცხოვრებ ქალებს კი კავშირი აქვთ როგორც ცხინვალის მოსახლეობასთან, ასევე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან (ძირითადად წეროვანში).

თუმცა, კვლევაში მონაწილე ქალებს უჭირდათ საუბარი კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალების როლზე. რესპონდენტების თქმით, გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ჩართვის მრავალი ბარიერი არსებობს. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერებია:

- ▶ **გენდერული სტერეოტიპები და ქალთა უფლებების შეზღუდვა:** რესპონდენტების თქმით, დღეს აფხაზეთში ქალების უფლებები შეზღუდულია, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში, სადაც ქალის როლი კიდევ უფრო მკაცრად არის განსაზღვრული და მხოლოდ ოჯახზე ზრუნვას

მოიაზრებს. ქალები თითქმის არ არიან ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, მათ ნაკლებად უსმენენ და მათ აზრსაც იშვიათად ითვალისწინებენ. ახალგორში გამოკითხული რამდენიმე ქალი აღნიშნავდა, რომ ქალების აქტიური ჩართულობა როგორც ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებში, თუნდაც კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ პროექტებში, მიუღებელი იქნება მათი ოჯახებისთვის.

„ქალების ხედვა და ექსპერტიზა ყოველთვის არასათანადოდ არის წარმოჩენილი და აქაც [კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მშვიდობის მშენებლობა], ისევე როგორც სხვა სფეროებში, ქალის ხმა არ ისმის. შეხედეთ მოლაპარაკებების მაგიდას. იქ ყოველთვის სხედან კაცები, რომლებიც იმ საკითხებს განიხილავენ, რასაც თავად მიიჩნევენ მნიშვნელოვანად. მე არ ვამბობ, რომ ეგ საკითხები [რომლებსაც კაცები განიხილავენ] არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენ არასდროს არ ვიცით ქალების ხედვა კონფლიქტზე, მათი იდეები, როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის გადაჭრა. კაცებმა, შეიძლება გამოტოვონ ის პრობლემები, რასაც ქალები ხედავენ, ესენია ჯანდაცვა, განათლება, სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები და ბევრი სხვა.“³¹

[37 წლის ქალი, გალი].

” ჩვენ არ გვხედავენ, როგორც თანასწორუფლებიან მოსახლეობას. რა სტატუსით უნდა ჩავერთოთ ამ პროცესში? ვინ ვართ ჩვენ? რა საკითხებზე უნდა ვილაპარაკოთ მშვიდობის მშენებლობის პროცესში? მე უფრო მგონია, რომ ქალები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ უფლებების დაცვის კუთხით, და არიან აქ ჩვენთან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იცავენ ქალთა უფლებებს, არის კრიზისული ცენტრი ძალადობის მსხვერპლი ქალების და გოგოებისთვის. მშვიდობის მშენებლობაში ჩვენი როლი ძალიან მცირეა, რადგან თანასწორი უფლებები ნაკლებად გვაქვს“.

[37 წლის ქალი, გალის რაიონი, სოფელი დიხაზურგა].

ჩამოთვლილი ბარიერების გარდა, რომლებიც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ჩასართავად, კონკრეტულად ქალებისთვის წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორებს, გალში გამოკითხული ქალების თქმით, მნიშვნელოვან დაბრკოლებას ზოგადად, გალის მაცხოვრებელთა ეთნიკურად ქართული წარმომავლობაც წარმოადგენს. რესპონდენტების თქმით, გალის მოსახლეობა პრაქტიკულად არ არის ჩართული რაიმე ტიპის მოლაპარაკებებში ან პოლიტიკურ პროცესებში.

” კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ჩართულობის ბარიერს წარმოადგენს გალის მოსახლეობის ეთნიკური მიკუთვნებულობაც. გალის მოსახლეობა, როგორც ქალები, ასევე კაცები, არ არიან ჩართული აქაურ პოლიტიკურ ცხოვრებასა და მოლაპარაკების პროცესებში.“³²

[29 წლის ქალი, გალი].

ამგვარი შეხედულებები გამოითქვა ახალგორის რესპონდენტებს შორისაც. კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, ახალგორის მოსახლეობა შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში ჩართული არ არის; მაშინაც კი, როდესაც მოლაპარაკებები უშუალოდ ახალგორს ეხება, დიალოგს მხოლოდ ცხინვალის და თბილისის წარმომადგენლები ესწრებიან.

” აუცილებელია, ცხინვალსა და ახალგორს შორისაც იყოს ლაპარაკი. ასეთ საკითხებში არა ვართ დაახლოებულები, თბილისი და ცხინვალი ლაპარაკობენ ჩვენ საკითხზე და ჩვენ არავინ არ გვეკითხება; არადა, ხომ სჯობს, ჩვენ პრობლემებზე ჩვენგან გაიგონ“.

[48 წლის ქალი, ახალგორი].

- ▶ **კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესებზე ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობა:** კვლევის მონაწილეთა თქმით, ქალებს გალის რაიონში არ აქვთ ინფორმაცია არც თავად კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესების და არც იმ პროექტების შესახებ, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციას ისახავს მიზნად.
- ▶ **ინტერესის ნაკლებობა:** კვლევაში მონაწილე ქალების თქმით, განსაკუთრებით ახალგაზრდის შემთხვევაში, ქალებს ნაკლებად აქვთ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ჩართვის სურვილი. ვინაიდან, მათი თქმით, ეს საკითხი მათ გარშემო საზოგადოებაში აქტუალური არ არის და ახალგაზრდა ქალებს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ან ხედვა კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ქალების როლთან დაკავშირებით, არ გააჩნიათ.

„სიმართლე რომ ვითხრათ, არც ერთი აქაურისგან ვეგეთი რამე არ მომისმენია, რომ ჩვენც შეგვიძლია ამ კონფლიქტის მოგვარებაში რამე მონაწილეობა მივიღოთ, არც დიდებისგან და ჩემი ასაკის გოგონებისგან ხომ საერთოდ არა. მეც არასდროს არ დაფიქრებულვარ ამ თემაზე“.

[23 წლის ქალი, ახალგორი].

„ინტერესი და სურვილი არა აქვთ და ეგ არის ხელის შემშლელი. მე ახლა მაგალითად რომ შემომთავაზონ მაგაში ჩართვა, არ მინდა, მე არა მაქვს მაგისი ცოდნა“.

[48 წლის ქალი, ახალგორი].

„აქ ცოტა სხვა სიტუაციაა, არც უნდათ ალბათ ჩართვა, ან არ იციან, რა არის. მე ახლა, მაგალითად, რომ მითხრან, აბა როგორ ჩავერთვები, არც ვიცი, როგორ უნდა, ან რა უნდა გავაკეთო. ჩემი ერთი ამხანაგი დადის ხოლმე თბილისში რაღაცა ტრენინგებზე, შეიძლება იქ ასწავლიან ამ რამეებს, ან ლაპარაკობენ რაღაცებს, ჩვენც რომ ვიცოდეთ და ლაპარაკობდეს ვინმე, იქნება აქედანაც ჩაერთოს ახალგაზრდობა, მაგრამ ჩემ გარშემო ვეგეთი არ მეგულება არავინ“.

[25 წლის ქალი, ახალგორი].

- ▶ **დროისა და ადამიანური რესურსის ნაკლებობა:** რესპონდენტების თქმით, ოჯახზე ზრუნვა, როგორც მატერიალურად, ასევე საოჯახო საქმეების შესრულების თვალსაზრისით, ძირითადად ქალებს უწევთ. აღნიშნავენ, რომ გალში მცხოვრები ოჯახებიდან, ხშირად დასაქმებული მხოლოდ ქალია, თუმცა, ამავდროულად, მხოლოდ ქალები ასრულებენ საშინაო საქმესაც. შესაბამისად, ქალებს აღარ რჩებათ დრო და ენერჯია პროექტებსა თუ სხვა აქტივობებში ჩასართავად.
- ▶ **პროექტების მცირე რაოდენობა:** გალში მცხოვრები ქალების თქმით, დღეს კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტებიც ცოტაა, რაც თავისთავად ბარიერს წარმოადგენს ამ პროცესში ჩასართავად.

◆12◆ კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები

მოცემული კვლევით დასტურდება იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობის პოზიტიური განწყობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისა და მათთან შერიგების საკითხის მიმართ. აღნიშნულის ფონზე კი საგულისხმოა, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობაში იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობა კვლავ დიდ გამოწვევად რჩება, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სამშვიდობო პროცესებში. გამოკითხული ქალების უმრავლესობა კი, თავის მხრივ, გამოთქვამს სრულ მზაობას და სურვილს, ჩაერთოს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დიალოგებსა თუ შეხვედრებში, ასევე თავისი წვლილი შეიტანოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატის შეხვედრებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ ბარიერების აღმოფხვრაზე ერთობლივი მუშაობის წარმართვა, რაც იძულებით გადაადგილებული ქალებისა და ახალგაზრდა ქალების მოსაზრებით ხელს უშლის მათ ეფექტიან მონაწილეობას. ასეთ ბარიერებად დასახელდა - იმედის ნაკლებობა, რომ მათი ძალისხმევა გამოიღებს შედეგს, არასაკმარისი ინფორმაცია მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტების შესახებ და ცოდნის ნაკლებობა კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მოსაზრებები ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციის გზების შესახებ, იმსახურებს ყურადღებასა და სხვადასხვა

აქტორებისა და გადანაცვლებების მიმღებთა მხრიდან შეთანხმებულ, კოორდინირებულ ძალისხმევას. მნიშვნელოვანია, რომ ქალების ხელდა მოიცავს მშვიდობიან და მდგრადი გადანაცვლების მიდგომებს - ახალგაზრდა თაობებს შორის ურთიერთობათა და დიალოგის გააქტიურებას, გადაადგილების გამარტივებას და სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობას. კონფლიქტების გადასაჭრელად სხვა აუცილებელი აქტივობები გულისხმობს სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობისთვის ერთმანეთის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ერთმანეთის ტრადიციებისა და კულტურის გაცნობას და სოციალური პროექტების განხორციელებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში (ახალგაზრდა) ქალების პირდაპირი და ეფექტიანი ჩართულობა, ასევე კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და შერიგების ხელშეწყობა მოითხოვს შესაბამის პასუხისმგებელ უწყებათა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა კონსოლიდირებულ ძალისხმევას. კვლევის მიგნებებზე დაფუძნებით, ანგარიშში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის - როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, ასევე გაეროს სააგენტოების, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის მიმართ, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესების მხარდაჭერას.



ზოგადი რეკომენდაციები:

ინფორმაციის აქტიური გავრცელება

ყოველმომცველი ინფორმაციის მიწოდება დევნილი ქალებისთვის არსებული პროცესების და პროექტების შესახებ. ცნობიერების და ცოდნის ამაღლება მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტის ტრანსფორმაციის, მშვიდობის და ნდობის აღდგენის მხარდამჭერი ინიციატივების შესახებ.

გაძლიერება უნარების განვითარების მეშვეობით

დევნილი ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების გაძლიერება კონფლიქტის ტრანსფორმაციის, მედიაციის, მოლაპარაკების და სხვა აქტუალურ საკითხებში უნარების ამაღლების გზით, რის შედეგადაც ისინი სამშვიდობო პროცესებში აქტიურ მონაწილეობას შეძლებენ.

ოფიციალურ პლატფორმებზე წვდომის ხელშეწყობა

დევნილი ქალებისთვის, მათ შორის ახალგაზრდებისთვის ოფიციალურ პლატფორმებზე წვდომის მხარდაჭერა, რათა დიალოგი და მოლაპარაკებები აწარმოონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის, მშვიდობის და ნდობის აღდგენის საკითხებზე. დამატებით, გენდერულად სპეციფიკური ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა მუდმივი მექანიზმების შექმნა მათი პირდაპირი, სტრუქტურირებული და ეფექტიანი ჩართულობისთვის.

სოციალური კავშირების და ქსელების შექმნა

სოციალური კავშირების ხელშეწყობა და ინიციატივების მხარდაჭერა, რაც დევნილ ქალებს დაეხმარება, რომ გააძლიერონ თანამშრომლობა როგორც ერთმანეთთან, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ქალებთან. დევნილ ქალებს შორის არსებული კონტაქტების და სანაცნობო წრის გამოყენება ურთიერთობების გაღრმავებისთვის.

რესურსების გამოყოფა პირისპირ ურთიერთობისთვის

დამატებითი რესურსების გამოყოფა პირისპირ შეხვედრებისთვის, უსაფრთხო სივრცეების შექმნა და დევნილი ქალების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა ყველა შეხვედრაში, რომელიც დევნილთა წინაშე არსებულ გამოწვევებს, მშვიდობას და უსაფრთხოებას ეხება.

ეკონომიკური გაძლიერება და ფინანსური მხარდაჭერა

დევნილი ქალების ეკონომიკური გაძლიერება და ფინანსური მხარდაჭერა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ან სხვა სამშვიდობო პროექტების თუ აქტივობების განსახორციელებლად, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დევნილი ქალების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების ეფექტიან მონაწილეობას მიეცევა.



რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას:

1. იძულებით გადაადგილებული ქალების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების, ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში
2. კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში იძულებით გადაადგილებული ქალების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების, როლზე, მათი ჩართულობის პოზიტიურ ასპექტებსა და გამოცდილებაზე ცნობიერების ამაღლება. ასევე, ინფორმაციის რეგულარული და პროაქტიული მიწოდება სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის, მათ შორის, თავად იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული (ახალგაზრდა) ქალებისთვის;
3. კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის სხვადასხვა ინსტრუმენტის თუ ინიციატივების შესახებ იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების რეგულარული ინფორმირება;
4. იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების პროფესიული მომზადება და მათი უნარ-ჩვევების გაძლიერება ისეთი თემატიკის ირგვლივ, როგორც არის მედიაცია, ფასილიტაცია, მოლაპარაკებები, არაძალადობრივი მიდგომები, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა, ადამიანის უსაფრთხოების საკითხები და სხვა;
5. კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ არსებულ პროექტებსა და პროგრამებში იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების მონაწილეობისთვის საჭირო წინაპირობების შექმნა და მათი პირდაპირი ჩართულობის გაზრდა;
6. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის ფორმატებში იძულებით გადაადგილებული ქალების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის სათანადო წინაპირობების შექმნა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
7. იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების სამშვიდობო ინიციატივების წახალისება და მათი ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერა;
8. იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების აფხაზ და ოს საზოგადოებებთან არსებული სოციალური კავშირების უკეთ გამოკვლევა და მათი გამოყენება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის პროცესებში;
9. კონფლიქტით დაზარალებული (ახალგაზრდა) ქალების და ქალთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის ხელშეწყობა სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა დონეზე;
10. სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდა ქალების როლისა და ჩართულობის გაძლიერების მიზნით, კონკურსში „მშვიდობის ჭილდო ახალგაზრდებისთვის“ ახალგაზრდა ქალებისთვის და ინიციატივებისთვის ცალკე კატეგორიის გამოყოფა.
11. რეკომენდაციები კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ რესპონდენტების მოსაზრებებიდან გამომდინარე;

კონფლიქტებით გაყოფილი ახალგაზრდების დაახლოება და ჩართულობა ერთობლივ პროექტებში

- 12. კონფლიქტის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებში ახალგაზრდების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების, დაახლოების მიზნით საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ჩატარება, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ჩამოსაყალიბებლად;
- 13. ახალგაზრდულ საგრანტო პროგრამებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების, მონაწილეობის გაზრდა.

სამშვიდობო განათლების ხელშეწყობა

- 14. სამშვიდობო განათლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების სხვადასხვა დონეზე, განსაკუთრებით სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების სფეროებში;
- 15. პედაგოგთა პროფესიული მომზადება კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების საკითხებში, მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მეთოდებზე, რათა საგანმანათლებლო პროცესმა ხელი შეუწყოს კონფლიქტების შესახებ ღია და კრიტიკულ მსჯელობას;
- 16. საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგიურ, ჰუმანიტარულ, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე კონფლიქტ-სენსიტიური მიდგომებისა და სამშვიდობო განათლების საკითხების ინტეგრირება, მათ შორის, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების და ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგების ინტეგრირების გზით;

- 17. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მიზნით, საერთაშორისო საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ, როგორც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების, ასევე ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსწავლეებისა და სტუდენტების პროაქტიული ინფორმირება (მაგალითად, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მეშვეობით);
- 18. კვლევების წარმოება და მონაცემების რეგულარულად შეგროვების ხელშეწყობა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესებში იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების როლზე აკადემიურ სივრცეებში, მათ შორის, თემატური სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებით და საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის გზით;
- 19. იძულებით გადაადგილებული სტუდენტების, მათ შორის, ახალგაზრდა ქალების, საჭიროებების კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მათი მხარდაჭერის მიზნით.

კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა

- 20. ინფორმაციის დაუბრკოლებელი გავრცელების ხელშეწყობა გაყოფილ საზოგადოებებს შორის:
 - ▶ აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან და დანარჩენი საქართველოდან წარმოდგენილი ჟურნალისტებისათვის რეგულარული შეხვედრების მეშვეობით;
 - ▶ გაყოფილი საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობისა და სოციალური კომუნიკა-

ციისთვის ერთობლივი ინტერნეტ პორტალის შექმნა. ინტერნეტის მოხმარების ხელშეწყობა, შეღავათიანი და სწრაფი ინტერნეტ-მინოდების საშუალებით;

- ▶ გამყოფი ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსებული რადიო/სატელევიზიო გადამცემი სადგურების ფუნქციონირების გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

21. ცენტრალურ და ადგილობრივ (განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანები ცხოვრობენ, დევნილთა დასახლებებში და ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე) მედიასთან მუშაობა, რათა გაიზარდოს კონფლიქტ-სენსიტიური მიდგომების მიმდებლობა ქართულ საზოგადოებაში;

22. კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალთა დამოკიდებულებებისა და განწყობების ამსახველი ამ და სხვა ანგარიშების/კვლევების ძირითადი მიგნებების გაზიარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საზოგადოებისათვის.

ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების პროექტებში ჩართულობა

23. სახელმწიფოს ჯანდაცვის პროექტების (მაგ: რეფერალური პროგრამის/უფასო ჯანდაცვის პროექტების) და სხვა არსებული სოციალური პროგრამების შესახებ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაცხო-

ვრებელთა ინფორმირებულობის გაზრდა და მათ მიერ ამ პროექტებით სარგებლობის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობა;

24. სახელმწიფოს ჯანდაცვის პროგრამებში (ახალგაზრდა) ქალების და გოგოების საჭიროებების გათვალისწინება და მათ საჭიროებებზე მორგებული სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა იძულებით გადაადგილებული, ასევე კონფლიქტით დაზარალებული, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები (ახალგაზრდა) ქალებისა და გოგოებისთვის;

25. ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის, საგრანტო პროგრამების შეთავაზება იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (ახალგაზრდა) ქალებისთვის. ასევე, ისეთი სოციალური პროგრამების შეთავაზება, რომლებიც ქალებს აუნაზღაურებელი შრომის ტვირთს შეუმცირებს. ამგვარ პროექტებში აფხაზი და ოსი (ახალგაზრდა) ქალებისა და გოგოების ჩართულობის ხელშეწყობა;

26. ეკონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობის, ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კავშირების სფეროებში არსებული გამოწვევების შესწავლა, მათ შორის, გენდერულ ჭრილში და შესაძლებლობების გამოვლენა აღნიშნული მიმართულებების მხარდაჭერის გაუმჯობესების მიზნით.



რეკომენდაციები გაეროს სააგენტოებს, მათ ფონდებსა და პროგრამებს:

27. მშვიდობის მშენებელი ქალებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობა კონფლიქტების პრევენციისა და სამშვიდობო ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში, მათ შორის, რეგულარული კონსულტაციების გზით, ქალებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფთან, რათა მოხდეს მათი საჭიროებების გამოვლენა და გამოცდილების გათვალისწინება;
28. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე არსებულ პროექტებსა და ღონისძიებებში (ახალგაზრდა) ქალების მონაწილეობის წახალისება და ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, მათი დაცვისა და უსაფრთხოების ძირითადი ასპექტების უზრუნველყოფა;
29. ტრენინგების, სემინარებისა და სასწავლო ინიციატივების დაგეგმვა და ორგანიზება ქალებისა და ახალგაზრდა მშვიდობის მშენებლებისთვის, რათა გაძლიერდეს მათი შესაძლებლობები: ა) დაფინანსებაზე წვდომის კუთხით; ბ) დონორებთან კომუნიკაციაში; გ) ეფექტურ თვითორგანიზებაში; დ) სხვა მშვიდობის მშენებლებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარებასა და ქსელების გაძლიერებაში; ე) ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე დღის წესრიგების უკეთესად გაცნობაში, გააზრებასა და მათ საქმიანობაში ამ საკითხების ინტეგრირებაში;
30. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის გაძლიერება (ახალგაზრდა) ქალი მშვიდობის მშენებლებისთვის მდგრადი პროგრამების შეთავაზების მიზნით;
31. იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალების ჩართვა ცოდნის/კვლევების წარმოებაში მათი გამოცდილებების უკეთესად წარმოჩენის მიზნით;
32. სწრაფი რეაგირების ფონდების და მექანიზმების შექმნა იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული იმ (ახალგაზრდა) ქალების მოგზაურობის, დოკუმენტაციის გამართვის, თარგმანის ხარჯებისა და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მიწვეულნი არიან მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, მონაწილეობის ხარჯების დაფინანსების ან სხვა დაბრკოლებების გათვალისწინების გარეშე;
33. იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (ახალგაზრდა) ქალების, განსაკუთრებით გალიდან და ახალგორიდან დახმარება, საერთაშორისო შეხვედრებზე სავიზო და სხვა მოგზაურობასთან დაკავშირებული პროცედურების კუთხით მხარდაჭერის, ასევე, სარეკომენდაციო წერილებისა და მათი ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების წარმოჩენის გზით;
34. ფართოდ ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო მასალების შემუშავება, სამშვიდობო პროცესების დემოკრატიზაციის ძალისა და პოტენციალის, ასევე, ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ახალგაზრდული ჯგუფების როლის შესახებ, კონფლიქტების პრევენციის, კონფლიქტების გადაწყვეტისა და მდგრადი მშვიდობის დამყარების საქმეში.
35. რეკომენდაციები დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებს;
36. იძულებით გადაადგილებული (ახალგაზრდა) ქალებისა და მათი ინიციატივების დაფინან-

ნსების შენარჩუნება და გაზრდა მშვიდობის მშენებლობის პროცესებში მათი როლის გაძლიერების მიზნით და მშვიდობის მშენებლობის, როგორც ნებისმიერი კრიზისული სიტუაციის მდგრადი და გრძელვადიანი გადანაცვების კომპონენტის მტკიცე მხარდაჭერა;

- 37. დაფინანსების პოლიტიკის, პრაქტიკის და მოთხოვნების, მათ შორის, დასაშვებობის კრიტერიუმების გადახედვა და რიგ შემთხვე-

ვებში ზოგიერთი მათგანის დროებით შემსუბუქება, რათა დაფინანსება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცალკეული ინიციატივების, ასევე მათი ხელმძღვანელობით მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის.



რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს:

- 38. იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე არსებული დღის წესრიგების შესახებ;
- 39. ორგანიზაციებში ახალგაზრდული მიმართულების/ფრთის შექმნის პრაქტიკის დანერგვა და ახალგაზრდული სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერის ხელშეწყობა;
- 40. სტაჟირების და მოხალისეობრივი საქმიანობის შეთავაზება იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდა ქალებისთვის ცოდნის გაზიარების და გადაცემის, ასევე პროექტების მართვის გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- 41. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და ახალგაზრდებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე დაგეგმილ პროექტებში მონაწი-

ლეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, ასევე მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვის ზომების უზრუნველყოფა;

- 42. შესაძლებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა მშვიდობის მშენებელი ქალებისთვის, რომლებსაც ახალი დაწყებული აქვთ საქმიანობა, სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე მიმართული დახმარება, მაგალითად: ტექნიკური და პროფესიული უნარების განვითარება; დამატებით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ პაკეტების შეძენა სხვა აქტივისტებთან დაკავშირებისა და ღონისძიებებში დისტანციური მონაწილეობების მიზნებისთვის; მათი დახმარება ორგანიზაციის ფუნქციონირების და მისი საქმიანობის წარმართვის სწავლებაში თუ საოფისე ინვენტარის შეძენასა და საჭირო ტექნიკით (ლექტორები, ტაბლეთები, სმარტფონები და ა.შ.) აღჭურვაში.



რეკომენდაციები კერძო სექტორს:

43. ბიზნეს კომპანიების მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების ხელშეწყობა ორგანიზაციულ დონეზე და ბიზნეს საქმიანობებში, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული (ახალგაზრდა) ქალების დასაქმების ხელშეწყობა და

სამშვიდობო ინიციატივებზე ორიენტირებული ბიზნეს საქმიანობების ხელშეწყობა;

44. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ახალგაზრდა) იძულებით გადაადგილებული ქალების სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერა.

დანართი 1

❖ კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, კვლევა მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ეტაპებს.

❖ ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა გამოყენებულია, ერთი მხრივ, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესის და ამ პროცესში ქალების ჩართულობასთან დაკავშირებული კონტექსტის შესწავლის, მეორე მხრივ კი, კვლევის ამოცანების საბოლოო ფორმულირებისა და თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული სადისკუსიო გეგმის საკითხების შემუშავებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში შესწავლილია (i) კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების ჩართულობის საერთაშორისო სტანდარტი, (ii) ქალებზე, მშვიდობასა

და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა და (iii) კონფლიქტის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური განზომილება და ქალების ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში, რომელიც მოიცავს ამ მიმართულებით არსებული კვლევების ანალიზსაც. ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემულია ანგარიშში განხილული განსაკუთრებით რელევანტური დოკუმენტების ნყარობი.

❖ თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სიღრმისეული და ამომწურავი ინფორმაცია კვლევის საკითხების შესახებ. ამასთან, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და თავისუფალი დისკუსია საკვლევი საკითხის ირგვლივ კვლევის მონაწილეებსაც აძლევდა საშუალებას, წამოეჭრათ ახალი საკითხები.

სადისკუსიო გეგმა

თვისებრივი კვლევისთვის წინასწარ შემუშავდა სადისკუსიო გეგმა (ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების სახელმძღვანელო), რომელიც წინასწარ მომზადებული, კვლევისთვის საინტერესო ღია კითხვებისგან შედგებოდა (იხ. დანართი #1). სადისკუსიო გეგმა, ერთი მხრივ, კვლევის ამოცანების, ხოლო, მეორე მხრივ, კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა.

თვისებრივი კვლევის სადისკუსიო გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს: (i) იძულებით გადაადგილებული ქალების ცხოვრება და გამოცდილება კონფლიქტების შემდეგ, (ii) იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესების მიმართ, (iii) იძულებით გადაადგილებული ქალების შემოთავაზებული იდეებისა და ნაბიჯების განხილვა კონფლიქტის ტრანსფორმაციის, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესის შესახებ.

მონაწილეების შერჩევა

თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლის და უფრო მაღალი ასაკის იძულებით გადაადგილებული ქალები. კვლევის მონაწილეთა შერჩევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო მათი ასაკი და საცხოვრებელი არეალი, რათა კვლევას მაქსიმალურად მოეცვა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალები. ვინაიდან, კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხს ახალგაზრდა ქალების (18-29 წლის) ხედვისა და დამოკიდებულებების შესწავლა წარმოადგენდა, ეს ასაკობრივი ჯგუფი ცალკე გამოიყო; ხოლო, კვლევის არეალის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირთა 2019 წლის სტატისტიკა.³³ 2019 წლის სტატისტიკის თანახმად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფი იძულებით გადაადგილებული ქალების დიდი ნაწილი თბილისში, იმერეთში (ქუთაისში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში), სამეგრელოში (ზუგდიდის და ფოთის მუნიციპალიტეტებში), შიდა ქართლში (გორში, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში) და მცხეთა-მთიანეთში (მცხეთაში, სოფელ წეროვანში) ცხოვრობს. შესაბამისად, ფოკუს-ჯგუფები ამ არეალში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან ჩატარდა. გარდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალებისა,თვისებრივი კვლევის ფარგლებში ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა გალსა და ახალგორში მცხოვრებ ქალებთანაც.

თვისებრივი კვლევის მონაწილეები მიზნობრივი პრინციპით შეირჩნენ. ერთი მხრივ, გამოყენებული იყო ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპი, მეორე მხრივ, რესპონდენტთა მოძიებაში კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მომუშავე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალების გამოსაკითხად ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, ხოლო გალსა და ახალგორში მცხოვრები ქალები გამოიკითხნენ ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუების მეტოდიით. სულ ჩატარდა 9 ფოკუს-ჯგუფი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან. ჯამურად, ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები 72 ქალი (8 მონაწილე თითო ფოკუს-ჯგუფში). გალსა და ახალგორში მცხოვრებ ქალებთან ჩატარდა 24 სიღრმისეული ინტერვიუ, მათ შორის, 12 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა გალში მცხოვრებ ქალებთან, ხოლო 12 სიღრმისეული ინტერვიუ - ახალგორში მცხოვრებ ქალებთან. ცხრილში 3 მოცემულია ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების განაწილება ასაკისა და საცხოვრებელი არეალის მიხედვით.

ცხრილი 4

ფოკუს-ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილეები

N	სამიზნე ჯგუფი	ასაკი	საცხოვრებელი ადგილი
FGD 1	იძულებით გადაადგილებული ქალები	18-29 წლის	თბილისი
FGD 2	იძულებით გადაადგილებული ქალები	30 და მეტი წლის	თბილისი
FGD 3	იძულებით გადაადგილებული ქალები	30 და მეტი წლის	გორი
FGD 4	იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრები ქალები	18-29 წლის	გორი
FGD 5	იძულებით გადაადგილებული ქალები	18-29 წლის	ზუგდიდი
FGD 6	იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრები ქალები	18 და მეტი წლის	ზუგდიდი
FGD 7	იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში მცხოვრები ქალები	18 და მეტი წლის	ფოთი
FGD 8	იძულებით გადაადგილებული ქალები	18-29 წლის	ქუთაისი
FGD 9	იძულებით გადაადგილებული ქალები	30 და მეტი წლის	ქუთაისი
IDI 1	გალში მცხოვრები ქალი	47 წლის	გალი
IDI 2	გალში მცხოვრები ქალი	47 წლის	გალი
IDI 3	გალში მცხოვრები ქალი	37 წლის	სოფელი დიხაზურგა
IDI 4	გალში მცხოვრები ქალი	29 წლის	სოფელი გაგიდა
IDI 5	გალში მცხოვრები ქალი	25 წლის	სოფელი პირველი გალი
IDI 6	გალში მცხოვრები ქალი	24 წლის	გალი
IDI 7	გალში მცხოვრები ქალი	20 წლის	სოფელი აჩიგვარა
IDI 8	გალში მცხოვრები ქალი	37 წლის	გალი
IDI 9	გალში მცხოვრები ქალი	29 წლის	გალი
IDI 10	გალში მცხოვრები ქალი	57 წლის	სოფელი ნაბაკევი
IDI 11	გალში მცხოვრები ქალი	32 წლის	გალი
IDI 12	გალში მცხოვრები ქალი	44 წლის	სოფელი ჭუბურხინჯი
IDI 13	ახალგორში მცხოვრები ქალი	22 წლის	ახალგორი
IDI 14	ახალგორში მცხოვრები ქალი	23 წლის	ახალგორი
IDI 15	ახალგორში მცხოვრები ქალი	48 წლის	ახალგორი
IDI 16	ახალგორში მცხოვრები ქალი	48 წლის	ახალგორი
IDI 17	ახალგორში მცხოვრები ქალი	26 წლის	ახალგორი
IDI 18	ახალგორში მცხოვრები ქალი	47 წლის	ახალგორი
IDI 19	ახალგორში მცხოვრები ქალი	18 წლის	ახალგორი
IDI 20	ახალგორში მცხოვრები ქალი	29 წლის	ახალგორი
IDI 21	ახალგორში მცხოვრები ქალი	25 წლის	ახალგორი
IDI 22	ახალგორში მცხოვრები ქალი	60 წლის	ახალგორი
IDI 23	ახალგორში მცხოვრები ქალი	36 წლის	ახალგორი
IDI 24	ახალგორში მცხოვრები ქალი	66 წლის	ახალგორი

მონაცემის მოგროვება და ანალიზი

თვისებრივი კვლევის სავსელე სამუშაოები ჩატარდა 2022 წლის დეკემბერი - 2023 წლის თებერვლის შუალედში. ყველა ფოკუს-ჯგუფი და სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ფიზიკურ გარემოში. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები შეთანხმებულ დროს შეიკრიბნენ წინასწარ მომზადებულ სივრცეში, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუები ტარდებოდა რესპონდენტებისთვის მოსახერხებელ ადგილას. ორივე შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო პრივატულობა და კვლევის მონაწილეებთან დისკუსიას არ ესწრებოდა გარეშე პირი.

ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების პროცესში მიმდინარეობდა დისკუსიის აუდიოჩანაწერა. კვლევა რესპონდენტების ინფორმირებული თანხმობით განხორციელდა.

აუდიოჩანაწერების საშუალებით მომზადდა ტრანსკრიპტები, სადაც არ ინიშნებოდა კვლევის

მონაწილეთა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად, სახელი, გვარი ან სხვა ისეთი მონაცემი, რაც შესაძლებელს გახდიდა პირის ამოცნობას. ის ინახებოდა კოდირებული სახით და მიეთითებოდა მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია, როგორცაა კვლევის მონაწილის საცხოვრებელი არეალი, ასაკი, ინტერვიუს ჩატარების თარიღი და ინტერვიუს ნომერი.

მოგროვებული მონაცემის დამუშავების შემდგომ ეტაპზე მოხდა ტექსტის სახით არსებული მასალის კოდირება, შემდეგ ძირითადი თემებისა და მიგნებების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემი გამოყენებული იყო, ერთი მხრივ, საკვლევი საკითხების სიღრმისეულად გასაგებად, ხოლო მეორე მხრივ, რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) შესამუშავებლად.

❖ რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა შერჩევის დიზაინი

რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ 18 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული ქალები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში, იმერეთში (ქუთაისში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში), სამეგრელოში (ზუგდიდის და ფოთის მუნიციპალიტეტებში), შიდა ქართლში (გორში, გორის და კასპის მუნიციპალიტეტებში), მცხეთა-მთიანეთში (მცხეთაში, წეროვანში). ეს რეგიონები შეირჩა 2019 წლის იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატისტიკის გათვალისწინებით, რადგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფი იძულებით

გადაადგილებული ქალების 95% სწორედ ამ მუნიციპალიტეტებში ცხოვრობს.³⁴

შერჩევის მეთოდად გამოყენებული იყო სტრატეფიცირებული შერჩევა, სადაც სტრატას წარმოადგენდა ასაკი, დასახლების ტიპი და კონფლიქტის ტალღა. ხოლო უშუალოდ რესპონდენტის შესარჩევად გამოყენებული იყო მოსახერხებელი შერჩევა თვითონ სტრატის შიგნით (როგორცაა კომპაქტური ჩასახლებები და სხვა).

თითოეული სტრატის პროპორციის დასადგენად გამოყენებული იყო ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით იძულებით გადაადგილებულ პირთა 2019 წლის აღრიცხვა.³⁵

ცხრილი 5

იძულებით გადაადგილებული ქალების საერთო რაოდენობა, საკვლევე პოპულაცია, შერჩევის ზომა ლოკაციის მიხედვით შევსებული ანკეტების რაოდენობა

რეგიონი	კვლევისთვის შიირა	ჯამურად დავნილი ქალების რაოდენობა	გამოკითხული დავნილი ქალების რაოდენობა
თბილისი	თბილისი	37,904	236
ქუთაისის მუნიციპალიტეტი	ქუთაისი	4,717	40
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	წყალტუბო	1,982	17
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	ზუგდიდი	19,876	90
ფოთის მუნიციპალიტეტი	ფოთი	4,131	31
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	სოფელი ღია	3,465	13
	დაბა ჯვარი		15
გორის მუნიციპალიტეტი, კასპის მუნიციპალიტეტი	გორი	1,958	41
	სოფელი სკრა	2,384	21
	სოფელი ბერბუკი		20
	კარაღეთის ჩასახლება		20
	ვერხვების ჩასახლება		20
	თელიანის ჩასახლება	18	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	მცხეთა	3,926	18
	სოფელი წეროვანი		
ჯამურად		80,343	600

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარი)

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო სტრუქტურირებული კითხვარი. კითხვარი, როგორც რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი, კვლევის ამოცანების გათვალისწინებით და, ასევე, თვისებრივი კვლევის შემდეგ მიღებული მიგნებების საფუძველზე შემუშავდა. კითხვარის პირველადი ვერსიის შემუშავების შემდეგ, კვლევის პროცესში ჩართული გუნდის რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიქმნა კითხვარის საბოლოო ვერსია.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი მოიცავდა შემდეგ ბლოკებს: A. დემოგრაფია, B. იძულებით გადაადგილებული ქალების დამოკიდებულება

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ და მათთან ურთიერთობები; C. შერიგებისა და დაბრუნების მიმართ არსებული განწყობები; D. უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენა კონფლიქტის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ განზომილებაზე; E. კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მშვიდობის მშენებლობის იდეები; F. კონფლიქტის ტრანსფორმაციის ირგვლივ არსებული კონკრეტული აქტივობების იდეები და განწყობა ჩართულობის მიმართ (დანართი #2).

საველე სამუშაოები და მონაცემის მოგროვების პროცედურა

მონაცემთა მოპოვების მიზნით შეიქმნა კითხვარის ელექტრონული ვერსია Dooblo/Survey to Go-ს პროგრამაში.³⁶ საველე სამუშაოების დაწყებამდე მოხდა კითხვარის პილოტირება და შეფასდა კითხვების/პასუხების თანმიმდევრობა და სისწორე, კითხვებში ლოგიკური გადასვლების გამართულობა, შინაარსობრივი გამართულობა და სხვა, რის შემდეგაც კითხვარი შესაბამისად გაიმართა. სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 საპილოტე ინტერვიუ თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან.

საველე სამუშაოები ჩატარდა CAPI მეთოდით.³⁷ კვლევაში ჩართული იყო 26 ინტერვიუერი. საველე სამუშაოების დაწყებამდე ინტერვიუერებს ჩაუტარდათ ტრენინგი, სადაც განხილული იყო კვლევის მიზნები და ამოცანები, კითხვარში მოცემული კითხვები და ინტერვიუერის ინსტრუქციები, პირისპირ ინტერვიუს ჩატარების პროცედურები, როგორცაა დაკონტაქტება რესპონდენტთან, კითხვარის ინსტრუქციების დაცვა, პრობლემური სიტუაციების მოგვარება და სხვ.

მონაცემების შეყვანა და ხარისხის კონტროლი

„ანოვას“ კვლევის ანალიტიკოსს, ველის კოორდინატორს და, ასევე, რეგიონულ სუპერვაიზერებს Dooblo-ს პროგრამის საშუალებით შესაძლებლობა ჰქონდათ, ეკონტროლებინათ თითოეული ინტერვიუერის მარშრუტი, დღიური შესრულებული სამუშაო, ღია კითხვების ტექსტები, კითხვარის ხანგრძლივობა და სხვა სტატისტიკა.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი

მონაცემები, კვლევითმა კომპანია „ანოვამ“, სტატისტიკური პროგრამის Statistical Package for the Social Sciences-ის (SPSS) და MS Excel გამოყენებით დაამუშავა. დამუშავების პირველ ეტაპზე მონაცემები გადატანილ იქნა SPSS-ში.

საველე სამუშაოების დაწყებამდე ყველა ინტერვიუერს გადაეცა შერჩევის საწყისი წერტილი (იძულებით გადაადგილებული ქალების საცხოვრებელი ადგილი), სადაც ხდებოდა კვლევის რესპონდენტების მოძიება და გამოკითხვა. შემდეგ, ბიჭით 3, ინტერვიუერი გადადიოდა მომდევნო ბინაში/სახლში. პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა რესპონდენტების სახლებში.

ინტერვიუს დაწყებამდე ინტერვიუერი კვლევის მონაწილეებს აცნობდა კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, აწვდიდა ინფორმაციას ინტერვიუს ხანგრძლივობის შესახებ და განუმარტავდა კონფიდენციალურობის საკითხს. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა საშუალოდ 30 წუთს.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა მოპოვება მიმდინარეობდა 2023 წლის 7 თებერვლიდან 2023 წლის 15 თებერვლამდე.

სატელეფონო კონტროლის მეშვეობით დადასტურდა ინტერვიუს ჩატარების ფაქტი, დადგინდა ადგილი, სქესი, ასაკი, კვლევის რამდენიმე კითხვა. ამ მეთოდით შემოწმდა კითხვარების 25%.

მონაცემთა დამუშავებისას გამოყენებული იყო აღწერითი სტატისტიკის ელემენტები (სიხშირეთა ანალიზი, კროსტაბულაციები), შედარებითი ანალიზი სხვადასხვა ცვლადის მიხედვით - დასახლების ტიპის, დევნილობის პერიოდისა და ასაკის მიხედვით.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია მონაცემთა სიხშირული ანალიზი, როგორც თითოეული საკვლევი ცვლადის, ისე კვლევისთვის საინტერესო ჯგუფებს შორის, როგორცაა ასაკი (18-29 წლის და 30 და მეტი წლის), დასახლების ტიპის (საქალაქო დასახლება და სასოფლო დასახლება) და იძულებით გადაადგილების პერიოდის მიხედვით (დევნილების

I ტალღა - 1991-1993 წლებში მომხდარი კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები და დევნილების II ტალღა - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები). ჯგუფთა-შორის მონაცემთა შედარების მიზნით გამოყენებულია დისპერსიული ანალიზი, P-value, T-test, Chi-square.

❖ კვლევის ეთიკა

კვლევის ფარგლებში დაცული იყო ეთიკის სტანდარტი, მათ შორის, უზრუნველყოფილი იყო კვლევის მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობა და კვლევის მონაწილეთა ანონიმურობის დაცვა. კვლევის მონაწილეები აცხადებდნენ ზეპირ ან წერილობით თანხმობას კვლევაში მონაწილეობაზე, ამასთან, მათ განემარტათ, რომ კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და შეუძლიათ უარი თქვან მონაწილეობაზე ინტერვიუს დაწყებამდე ან ინტერვიუს დაწყების შემდეგ ნებისმიერ დროს, ასევე, შეუძლიათ თავი შეიკავონ პასუხის გაცემისგან მკვლევრის მიერ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე. კვლევაში მონაწილეობაში თანხმობის მიცემამდე, კვლევის

მონაწილეებს, გააცნეს კვლევის მიზნები, ინტერვიუს ხანგრძლივობა და ამასთანავე, მიეწოდათ ინფორმაცია ფოკუს-ჯგუფების და სიღრმისეული ინტერვიუების შემთხვევაში აუდიოჩანაწერის გაკეთების შესახებ. კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დაცვის მიზნით, კვლევის ფარგლებში მოპოვებული მასალა ინახება კოდირებული სახით და არ შეიცავს რესპონდენტების მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას, ისევე როგორც ანგარიშში არ არის მოხსენიებული არანაირი ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის კვლევის რომელიმე მონაწილის ამოცნობას.

❖ კვლევის მონაწილეობა

კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოცემული კვლევის შეზღუდვები.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევით. კვლევის ფარგლებში წინასწარ განისაზღვრა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ადგილები და ინტერვიუები სწორედ ასეთ ადგილებში ჩატარდა. შესაბამისად, კვლევის შედეგები არ განზოგადდება მთლიანად იძულებით გადაადგილებული ქალების პოპულაციაზე და კვლევაში მოყვანილი მონაცემები ასახავს მხოლოდ

კვლევის მონაწილეთა აზრს. გარდა ამისა, გალსა და ახალგორში ჩატარებული კვლევა მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს და, შესაბამისად, ანგარიშში მოცემული შედეგები ასახავს მხოლოდ კვლევაში მონაწილეთა ქალების შეხედულებებს და არ განზოგადდება მთლიანად გალსა და ახალგორში მცხოვრებ ქალებზე. ანალოგიურ ვითარება გვაქვს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოკითხული ქალების შემთხვევაშიც, ზოგიერთი საკითხი (აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცხოვრება და იძულებით გადაადგილებული

ქალების გამონწვევები) განხილული იყო მხოლოდ ფოკუს-ჯგუფებში.

თუმცა, გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად, მოცემული კვლევა გვანვდის ღირებულ ინფორმაციას კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში იძულებით

გადაადგილებული ქალების ჩართვასთან დაკავშირებულ ბარიერებზე და წარმოაჩენს თავად ამ ქალების ხედვასა და დამოკიდებულებებს კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებზე.

დანართი 2

კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების დემოგრაფიული მონაცემები

ამ თავში განხილულია გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების ისეთი დემოგრაფიული მონაცემები, როგორცაა ასაკი, დასახლების ტიპი და საცხოვრებელი ადგილი.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებმა იძულებით გადაადგილებულმა ქალებმა. სულ გამოკითხა 600 იძულებით გადაადგილებული ქალი, მათ შორის 20% წარმოადგენს

ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფს (18-29 წლის) (ცხრილი 6).

გამოკითხულთა 39% ცხოვრობს თბილისში, 61% კი წყალტუბოს, გორის, ზუგდიდის, წალენჯიხის, კასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში ცხოვრობს (84%). მათი სრული უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია (98%) (ცხრილი 6).

ცხრილი 6

იძულებით გადაადგილებული ქალების საერთო რაოდენობა, საკვლევი პოპულაცია, შერჩევის ზომის ლოკაციის მიხედვით შევსებული ანკეტების რაოდენობა

	ჯამურად N=600	18-29 წელი N=116	30 + წელი N=484	საქალაქო და- სახლება N=485	სასოფლო და- სახლება N=115	დეჰნილი- ბის I ტალღა N=466	დეჰნილი- ბის II ტალღა N=134
A2. გთხოვთ, მითხრათ, რამდენი წლის ხართ.							
18-24 წელი	12%	60%	0%	12%	11%	11%	13%
25-29 წელი	8%	40%	0%	8%	5%	9%	4%
30-39 წელი	15%	0%	18%	15%	13%	15%	14%
40-49 წელი	15%	0%	18%	15%	15%	15%	15%
50-59 წელი	19%	0%	23%	18%	20%	17%	23%
60 და მეტი წელი	32%	0%	40%	32%	36%	33%	31%
A3. მიუთითეთ დასახლების ტიპი, სადაც ტარდება ინტერვიუ.							
საქალაქო დასახლება (ქალაქი ან დაბა)	81%	84%	80%			97%	24%
სასოფლო დასახლება (სოფელი)	19%	16%	20%			3%	76%
A5. გთხოვთ, მითხრათ თქვენი საცხოვრებელი ადგილი, სადაც მუდმივად ცხოვრობთ ბოლო 6 თვის განმავლობაში.							
თბილისი	39%	36%	40%	49%	0%	48%	7%
ქუთაისი	7%	9%	6%	8%	0%	9%	0%

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - 9 აპრილის დევნილთა ჩასახლება	1%	1%	1%	1%	0%	2%	0%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - თამარ მეფის დევნილთა ჩასახლება	1%	1%	1%	1%	0%	2%	0%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - საავადმყოფოს შენობა	1%	1%	0%	1%	0%	1%	0%
ზუგდიდი	15%	22%	13%	19%	0%	19%	0%
ფოთის მუნიციპალიტეტი - ფოთი	5%	3%	6%	6%	0%	7%	0%
ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი - სოფელი ლია	2%	3%	2%	1%	6%	3%	0%
ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი - ჯვარი	3%	2%	3%	3%	0%	3%	1%
გორი	7%	8%	7%	8%	0%	5%	15%
გორის მუნიციპალიტეტი - სოფელი სკრა	4%	4%	3%	0%	18%	0%	14%
გორის მუნიციპალიტეტი - სოფელი ბერბუკი	3%	3%	4%	0%	17%	0%	15%
გორის მუნიციპალიტეტი - კარაღეთის ჩასახლება	3%	0%	4%	0%	17%	0%	15%
გორის მუნიციპალიტეტი - ვერხვების ჩასახლება	3%	3%	4%	0%	17%	0%	14%
კასპის მუნიციპალიტეტი - თელიანის ჩასახლება	3%	3%	3%	0%	16%	1%	11%
მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი - მცხეთა	2%	2%	1%	2%	0%	2%	1%
მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი - სოფელი წეროვანი	2%	2%	1%	0%	8%	0%	7%
A4. იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს							
ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში	84%	82%	85%	81%	96%	85%	81%
არ ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში	16%	18%	15%	19%	4%	15%	19%
A8. გთხოვთ მითხრათ, პირადად თქვენ რომელ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენთ / ეკუთვნით.							
ვარ ეთნიკურად აფხაზი	0%	1%	0%	0%	0%	0%	0%
ვარ ეთნიკურად ოსი	1%	0%	1%	1%	3%	0%	4%
ვარ ეთნიკურად ქართველი	98%	99%	98%	99%	95%	100%	94%
ვარ სხვა ეთნოსის წარმომადგენელი (სომეხი, რუსი და ა.შ.)	1%	0%	1%	0%	3%	0%	2%

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ქალების ყველაზე დიდ ნაწილს საშუალო (41%) ან პროფესიული (22%) განათლება აქვს. უმაღლესი განათლება აქვს იძულებით გადაადგილებული ქალების ერთ მესამედს (36%), საგულისხმოა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალთა რაოდენობა შედარებით დაბალია სასოფლო დასახლებებში (23%) და 2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ ქალებში (27%) (ცხრილი 7).

კვლევაში მონაწილე ქალების 27% დასაქმებულია (დაქირავებული მუშაკი, დამქირავებელი/დამსაქმებელი/თვითდასაქმებული (მენარმე, მეურნე დაქირავებული მუშაკებით), თვითდასაქმებული (მენარმე, მეურნე დაქირავებული პირების გარეშე ან პროფესიული საქმიანობით

დაკავებული პირი) ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფი, მათი 39% უმუშევარია, 29% კი პენსიონერი (ცხრილი 7).

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული იძულებით გადაადგილებული ქალების უმრავლესობა უკიდურეს სოციალურ გაჭირვებაში ცხოვრობს: 41% აღნიშნავს, რომ შემოსავალი არ ჰყოფნის საკვების შესაძენად კი, 29%-ს შემოსავალი ჰყოფნის საკვებისთვის, თუმცა არ არის საკმარისი ტანსაცმლის საყიდლად. სოციალური ფონი განსაკუთრებით მძიმედ იჩენს თავს სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ და 2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ ქალებთან (შემოსავალი არ ჰყოფნის საკვების საყიდლად 77% და 69%, შესაბამისად) (ცხრილი 7).

ცხრილი 7

იძულებით გადაადგილებული ქალების განათლება, დასაქმების სტატუსი და შემოსავალი

	ჯამურად N=600	18-29 წელი N=116	30 + წელი N=484	საქალაქო დასახლებებში N=485	სასოფლო დასახლებებში N=115	დევნილების I ტალღა N=466	დევნილების II ტალღა N=134
A9. გზიდან, მითხრათ თქვენი დასრულებული განათლების დონე.							
არასრული საშუალო განათლება	1%	2%	1%	1%	0%	2%	0%
სრული საშუალო განათლება	41%	59%	37%	38%	53%	38%	51%
პროფესიული განათლება/ტექნიკური	22%	9%	25%	22%	23%	22%	22%
უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და ა.შ.)	36%	30%	37%	39%	23%	39%	27%
A10. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება თქვენ ამჟამინდელ დასაქმების სტატუსს ყველაზე მეტად?							
დაქირავებული მუშაკი	19%	19%	19%	21%	10%	20%	17%
დამქირავებელი/დამსაქმებელი/თვითდასაქმებული (მენარმე, მეურნე დაქირავებული მუშაკებით)	1%	1%	1%	2%	0%	2%	0%

თვითდასაქმებული (მენარმე, მეურნე დაქირავებული პირების გარეშე ან პროფ საქმიანობით დაკავებული პირი)	6%	3%	6%	5%	7%	5%	7%
დეკრეტულ შვებულებაში მყოფი	1%	3%	0%	1%	0%	1%	0%
სტუდენტი	6%	30%	0%	6%	4%	5%	7%
უმუშევარი	39%	43%	37%	37%	43%	38%	40%
პენსიონერი	29%	1%	36%	27%	35%	29%	28%
A11. გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას.							
შემოსავალი არ გვყოფნის საკვების შესაძენად კი	41%	32%	43%	32%	77%	33%	69%
შემოსავალი გვყოფნის საკვებისთვის, მაგრამ არ არის საკმარისი ტანსაცმლის საყიდლად	29%	26%	30%	32%	18%	32%	19%
შემოსავლით შეგვიძლია ვიყიდოთ საკვები, ტანსაცმელი, მაგრამ არ არის საკმარისი საყოფაცხოვრებო ტექნიკის (მაცივრის, სარეცხის მანქანის, ტელევიზორის და ა.შ.) შესაძენად	24%	30%	23%	29%	3%	28%	9%
შემოსავლით შეგვიძლია ვიყიდოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მაგრამ არა ახალი ავტომობილი	4%	10%	2%	4%	2%	4%	2%
შემოსავლით შეგვიძლია ვიყიდოთ ახალი ავტომობილი, მაგრამ არა უძრავი ქონება (აგარაკი, ბინა)	1%	0%	1%	1%	1%	1%	1%
შემოსავლით შეგვიძლია ვიყიდოთ უძრავი ქონება ან ნებისმიერი რამ, რაც გვჭირდება	1%	0%	1%	1%	0%	1%	0%
არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	1%	2%	1%	1%	0%	1%	0%
უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
A12. გთხოვთ, მითხრათ, რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ოჯახი (იგულისხმება ოჯახის წევრები, რომლებთან ერთადაც ცხოვრობთ). A13. მათ შორის, რამდენია არასრულწლოვანი (18 წლამდე) წევრი.							
ოჯახის წევრთა რაოდენობა	4	4	4	4	4	4	4
ოჯახში 18 წლამდე პირების რაოდენობა	2	2	2	2	2	2	2

კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებულ ქალთა შორის 78% 1991-1993 წლების კონფლიქტების, 22% კი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულია.

გამოკითხულთა 74% იძულებით გადაადგილებულია აფხაზეთის რეგიონიდან, 26% კი ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (ცხრილი 8).

ცხრილი 8

დასახლების არეალი და იძულებით გადაადგილების პერიოდი

	ჯამურად N=600	18-29 წელი N=116	30 + წელი N=484	საქალაქო და-სახლება N=485	სასოფლო და-სახლება N=115	დეჰნილი-ბის I ტალღა N=466	დეჰნილი-ბის II ტალღა N=134
A7. გთხოვთ, მითხრათ, რომელი წლის / რომელი კონფლიქტის შედეგად ხართ იძულებით გადაადგილებული პირი.							
1992-1993 წლებში მომხდარი აფხაზეთის კონფლიქტიდან	74%	77%	73%	89%	8%	95%	0%
1991-1992 წლებში მომხდარი ცხინვალის კონფლიქტიდან	4%	3%	5%	5%	3%	5%	0%
2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტიდან	22%	20%	23%	7%	89%	0%	100%
A6. გთხოვთ, მითხრათ, რომელი რეგიონიდან და ქალაქიდან/სოფლიდან ხართ იძულებით გადაადგილებული პირი.							
აფხაზეთი	75%	78%	74%	91%	8%	96%	1%
გალი	24%	28%	23%	29%	3%	30%	0%
ტყვარჩელი	1%	1%	1%	1%	1%	2%	0%
ოჩამჩირე	14%	15%	13%	17%	0%	17%	0%
გულრიფში	5%	3%	5%	6%	1%	6%	0%
სოხუმი	27%	30%	26%	32%	3%	34%	0%
გუდაუთა	1%	1%	1%	1%	0%	1%	0%
გაგრა	4%	0%	5%	5%	0%	5%	0%
კოდორი	1%	1%	0,4%	1%	0%	0,2%	1%
ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი	25%	22%	26%	9%	92%	4%	99%
ახალგორი	2%	1%	2%	0,4%	6%	0%	7%
ცხინვალი	24%	21%	24%	9%	86%	4%	92%
ზნაური	0,3%	0%	0,4%	0,4%	0%	0,4%	0%

გამოყენებული ლიტერატურა

- Catherine O'Rourke and Aisling Swaine (2018), CEDAW and the Security Council: Enhancing Women's Rights in Conflict, *International and Comparative Law Quarterly* 67, 178.
- CEDAW Committee (18 October 2013), General recommendation N30 on women in conflict prevention, conflict and post-conflict situations, CEDAW/C/GC/30.
- CEDAW Committee, General recommendation N30, para 2.
- Manuela Scheuermann and Anja Zürn (2020), *Gender roles in peace and security – prevent, protect, participate*, Springer.
- UN WOMEN (2020), *Benchmarks, Barriers and Bridging the Gaps: Enhancing Women's Meaningful Participation and Contribution to Peace Processes in Georgia*.
- UN Security Council (8 March 2000), *Peace Inextricably linked with equality between women and men says security council*, in international women's day statement, press release SC/6816.
- UNSC, Resolutions: 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019), და 2493 (2019).
- არჯევანიძე ნ., ჭანკვეტაძე ნ., ბენდელიანი ე., კალანდარიშვილი ნ., ცხადაძე თ. (2020), *ქალები ომის დროს და ომის შემდეგ*. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, თბილისი.
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2021). *ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო*.
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC საქართველო) (2019). *საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება*.
- საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ (მიღების თარიღი 1 მარტი, 2014), მუხლი 231.
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება N173 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის 26 ოქტომბრის დადგენილება N510 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს სახალხო დამცველი (2021), *ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ*, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
- სოციალური მომსახურების სააგენტო. 2019.
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა.
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, (18 დეკემბერი. 1979).
- ჭანკვეტაძე ნ. (2020), *კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე*, ლევან მიქელაძის ფონდი.

სქოლიო

- 1 2022 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადც გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს აქვთ 2023 წლის 1-ელ იანვრამდე დაბადებული პირის მიმართ და 1-ელი იანვრიდან დაბადებული ბავშვები არ იქნებიან გათვალისწინებული სულადობრივად, როგორც ოჯახის წევრები, საცხოვრისით დაკმაყოფილების დროს.
- 2 Christelle Cazabat, Women and Girls in Internal Displacement, 2020. Available here: <https://www.internal-displacement.org/sites/default/files/publications/documents/202003-twice-invisible-internally-displaced-women.pdf>.
- 3 სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019.
- 4 საქართველოს სახალხო დამცველი (2021), ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 201-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
- 5 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 18 დეკემბერი 1979.
- 6 UN Women (2015), Preventing Conflict Transforming Justice Securing the Peace.
- 7 Beijing Platform for Action (BPFA), 1995.
- 8 UNSC, Resolution N1325 (2000), (31 October 2000) S/RES/1325(2000).
- 9 Manuela Scheuermann and Anja Zürn (2020), Gender roles in peace and security – prevent, protect, participate, Springer.
- 10 UNSC, Resolution N1325 (2000), (31 October 2000) S/RES/1325(2000).
- 11 UNSC, Resolution 1820 (2008), (19 June 2008) S/RES/1820 (2008).
UNSC, Resolution 1888(2009), (30 September 2009) S/RES/1888(2009).
UNSC, Resolution 1889 (2009), (5 October 2009) S/RES/1889 (2009).
UNSC, Resolution 1960 (2010), (16 December 2010) S/RES/1960 (2010).
UNSC, Resolution 2106 (2013), (24 June 2013) S/RES/2106 (2013).
UNSC, Resolution 2122 (2013), (18 October 2013) S/RES/2122 (2013).
UNSC, Resolution 2242 (2015), (13 October 2015) S/RES/2242 (2015).
UNSC, Resolution 2467 (2019), (23 April 2019) S/RES/2467 (2019).
UNSC, Resolution 2493 (2019), (29 October 2019) S/RES/2493 (2019).
- 12 CEDAW Committee (18 October 2013), General recommendation N30 on women in conflict prevention, conflict and post-conflict situations CEDAW/C/GC/30.
- 13 CEDAW Committee, General recommendation N30, para 2.
- 14 საქართველოს მთავრობა (2018), 2018 წლის 10 აპრილის დადგენილება N173 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.
- 15 საქართველოს მთავრობის 26 ოქტომბრის დადგენილება N510 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.
- 16 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა.
- 17 საქართველოს სახალხო დამცველი (2021), ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
- 18 გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2021), ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო.
- 19 საქართველოს სახალხო დამცველი (2021), ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
- 20 გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2021), ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო.
- 21 სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019.

- 22 ნ. ჭანკვეტაძე (2020), კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე, გვ. 21.
- 23 არჯევანიძე ნ., ჭანკვეტაძე ნ., ბენდელიანი ე., კალანდარიშვილი ნ., ცხადაძე თ. (2020), ქალები ომის დროს და ომის შემდეგ, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისი.
- 24 ჭანკვეტაძე ნ. (2020), კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე. გვ.12, ლევან მიქელაძის ფონდი
- 25 არჯევანიძე ნ., ჭანკვეტაძე ნ., ბენდელიანი ე., კალანდარიშვილი ნ., ცხადაძე თ., ქალები ომის დროს და ომის შემდეგ, გვ. 128, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისი.
- 26 UN WOMEN (2020), Benchmarks, Barriers and Bridging The Gaps: Enhancing Women’s Meaningful Participation and Contribution to Peace Processes In Georgia.
- 27 არჯევანიძე ნ., ჭანკვეტაძე ნ., ბენდელიანი ე., კალანდარიშვილი ნ., ცხადაძე თ., (2020), ქალები ომის დროს და ომის შემდეგ, გვ. 113. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისი.
- 28 არჯევანიძე ნ., ჭანკვეტაძე ნ., ბენდელიანი ე., კალანდარიშვილი ნ., ცხადაძე თ. (2020), ქალები ომის დროს და ომის შემდეგ, გვ. 113-114. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისი.
- 29 არჯევანიძე ნ., ჭანკვეტაძე ნ., ბენდელიანი ე., კალანდარიშვილი ნ., ცხადაძე თ. (2020), ქალები ომის დროს და ომის შემდეგ, გვ. 124. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, თბილისი.
- 30 საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ (მიღების თარიღი 01 მარტი 2014), მუხლი 231.
- 31 კვლევის მონაწილის ციტატა ნათარგმნია რუსულიდან.
- 32 კვლევის მონაწილის ციტატა ნათარგმნია რუსულიდან.
- 33 სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019.
- 34 სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019.
- 35 სოციალური მომსახურების სააგენტო, 2019.
- 36 კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პროგრამა Dooblo/Survey to Go. ინფორმაცია პროგრამაზე მოცემულია შემდეგ ბმულზე www.dooblo.net
- 37 CAPI (Computer-Assisted Personal Interviews) - მონაცემთა პირისპირ შეგროვების მეთოდი, რომლის დროსაც ინტერვიუერი იყენებს პლანშეტს, მობილურ ტელეფონს ან კომპიუტერს ინტერვიუს დროს მიღებული პასუხების ჩასანიშნად.





გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქუჩა 87, ოფისი 4, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.unwomen.org
georgia.unwomen.org